პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган центрального и тбилисского комитетов КП (б) Грузии и советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 1949 წ. № 153 (8456). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

აუღებელი არ დავტოვოთ არც ერთი თავთავი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ლ. ებანოიძე — ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე ტომი (მე-2 და მე-3 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
რატომ ჩამორჩა ლეწვა და პურის დამზადება? (მე-2 გვერდი).
მივაღწიოთ მოწყობილობათა შეუფერხებელ მუშაობას — ფეხსაცმლის მრეწველობაში (მე-3 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
მოწინავე საუბნო კომიტეტი და მისი აქტივისტები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

აუღებელი არ დავტოვოთ არც ერთი თავთავი

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში პურეულის მკასთან ერთად გაჩაღებულია ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. უკვე აღებულია თავთავიანი კულტურების ნახევარზე მეტი. მიმდინარე წლის დამახასიათებელი ის არის, რომ კოლმეურნეობებს პურეულის უხვი მოსავალი მოჰყავთ დიდ ფართობზე. მაგალითად, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და სხვა რაიონებში მთელი რიგი კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები ყოველ ჰექტარზე იღებენ 25-30 ცენტნერ პურს.

ჩვენს სოფლის მეურნეობას ყველა საშუალება მოეპოვება არ დაკარგოს არც ერთი კილოგრამი პური, მინდვრად არ დატოვოს არც ერთი თავთავი. ამას ნათლად მოწმობს მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობის მაგალითი დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ პურეული უდანაკარგოდ აიღო 1.373 ჰექტარზე. საუკეთესოდ იყო აქ მოწყობილი დანაკარგებთან ბრძოლა. კომბაინებსა და მარტივ მანქანებს გაუკეთეს მარცვალსაჭერები. თავთავების ასაკრეფად ფართოდ გამოიყენეს ქალთა, მოხუცთა და მოზარდთა შრომა, პური შემოსვლისთანავე მომკეს. მარტივი მანქანებით აღებული პურეული დროულად გალეწეს. სატრანსპორტო ბრიგადებმა უდანაკარგოდ გადაზიდეს პური სახელმწიფო მიმღებ პუნქტებსა და საკოლმეურნეო ბეღლებში. გორის რაიონის სოფელ შავშვების კოლმეურნეობაში „გზა სოციალიზმისაკენ“ მომკელებს თან მიჰყვებიან მფოცხავები და თავთავების მკრეფავები. ისინი მინდვრად არ ტოვებენ არც ერთ თავთავს. ასეთი მაგალითი მრავალია.

დანაკარგებთან წარმატებითი ბრძოლა მოითხოვს მოსავლის აღების ყველა სამუშაო წარვმართოთ ერთდროულად, არ დაუშვათ მკის, დაზვინვის, გალეწვის, გადაზიდვის დაშორიშორება. არაორგანიზებული მუშაობის შედეგად დანაკარგი თავს იჩენს მოსავლის აღების სამუშაოთა ყველა ეტაპზე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“ ნათქვამია: დაევალოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ ყოველდღიური ბრძოლა მოსავლის დანაკარგების წინააღმდეგ პურეულის მომკამდე, მოსავლის აღების, გალეწვის, გადაზიდვისა და შენახვის დროს. ეს დავალება განუხრელად უნდა შევასრულოთ.

დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას საუკეთესო ხარისხის კომბაინის აგრეგატის სახელწოდების მოსაპოვებლად. შეჯიბრების ინიციატორის, შირაქის მტს-ის წარჩინებული კომბაინერის ამხ. ივანე მელიქიშვილის მოწოდებას მოწინავე კომბაინერებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ენერგიულად იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ეს შეჯიბრება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მთავარ პირობად წამოყენებულია მთელი პურეულის უდანაკარგოდ, მაღალი ხარისხით და თავის დროზე აღება. კომბაინერ მელიქიშვილის მაგალითისამებრ უდანაკარგოდ იღებენ მოსავალს წითელწყაროელი კომბაინერი გ. დოლიძე, ახალსოფლის მტს-ის კომბაინერები ვ. მანძულაშვილი, ი. კრავჩენკო, დიდმელი კომბაინერები ლ. და გ. აბრამიშვილები და მრავალი სხვა. ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ კომბაინერთა შეჯიბრება, მოწინავეთა გამოცდილება ყველას კუთვნილებად გავხადოთ. პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოვალენი არიან სისტემატურად შეამოწმონ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და აქტიურად დაეხმარონ მტს-ების მუშაკებს ამ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაჭრის საქმეში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ვხვდებით პურეულის დანაკარგებს. მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ ფშავლის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში დანაკარგებთან ბრძოლა თვითდინებაზეა მინდობილი. თავთავების აკრეფას ყურადღებას არ აქცევენ. ამის გამო დანაკარგი ჰექტარზე საშუალოდ აქ 100 კილოგრამ მარცვლეულს შეადგენს. აუცილებელია საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სწრაფად მოუღონ ბოლო ასეთ უდარდელ დამოკიდებულებას მოსავლის აღებისადმი. გორის რაიონის სოფელ ქვემო შავშვების კოლმეურნეობაში ცუდად მუშაობენ მარცვლეულის დანაკარგების თავიდან ასაცილებლად. აქ არის ისეთი ნაკვეთი, რომლის ერთ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ 25-30 თავთავია დარჩენილი. ქარელის რაიონის სოფელ ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მომკილ ნაკვეთებში პირუტყვი ისე შეუშვეს, რომ თავთავები არ იყო აკრეფილი. ასეთი ფაქტები სხვაგანაც არის.

პურეულის დანაკარგს იწვევს აგრეთვე მოსავლის დროულად აუღებლობა, დაზვინვისა და გალეწვის გაჭიანურება. მთელ რიგ რაიონებში ლეწვის გაჭიანურება საფრთხეს უქმნის პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებას.

მთელ რესპუბლიკაში დიდი სიცხეების დადგომის გამო პურეულის შემოსვლა დაჩქარდა. მკის დაგვიანება კი სერიოზულ დანაკარგს გამოიწვევს. მაშასადამე, აუცილებელია დავაჩქაროთ მკა, დაზვინვა, გალეწვა, გადავჭრით გავაძლიეროთ პურის დამზადების ტემპი. პური ეს ჩვენი სიმდიდრეა. სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ინტერესები მოითხოვენ სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის მთლიანად ასაღებად. პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკური აგიტაციის მთელი ძალა სოფლად უნდა წარმართონ პურეულის დანაკარგის აღსაკვეთად. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სიღნაღის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებში თავთავიან კულტურათა მოსავლის აღების ნაკლოვანებათა შესახებ“ მოცემულია დანაკარგებთან ბრძოლის კონკრეტული პროგრამა. ეს პროგრამა განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

პურეულის დანაკარგების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სრული დატვირთვით გამოვიყენოთ კომბაინები, მარტივი მანქანები, გავუკეთოთ მათ მარცვალშჭერები.

აღებულ ნაკვეთებზე უნდა უზრუნველვყოთ თავთავების მასობრივად აკრეფა და ამ სამუშაოებზე ფართოდ გამოვიყენოთ ქალთა, მოზარდთა და მოხუცთა შრომა, ამასთანავე არ დავუშვათ პურის მაღალზე მოჭრა, გაულეწავი თავთავების დატოვება.

შემდეგ საჭიროა კარგად დავიცვათ პური ავდრისაგან, კარგად მოვამზადოთ და გამოვიყენოთ სახმობი, დახურული კალო, ფარდული. რა ამინდიც უნდა იყოს, უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პურის დროულად გაზიდვას. რაც დღეს გაილეწა, იმავე დღეს უნდა გაიზიდოს კალოდან, პირველი განალეწი მარცვლეული ჩავაბაროთ სახელმწიფოს, არ გავაჩეროთ მარცვლეული კალოზე.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის უდანაკარგოდ, მთლიანად აღებისა და პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს პურეულის მოსავლის აღება

1 აგვისტოსათვის წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება და გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ხუთდღიურ დავალებებს. რაიონმა შეასრულა თივის აღების გეგმაც.

თამბაქოს შეტეხვა

1 აგვისტოსათვის საქართველოს კოლმეურნეობებში შეტეხილია 20.730.183 ზონარმეტრი თამბაქო, აქედან 8 მილიონზე მეტი ზონარმეტრი ივლისის უკანასკნელ ხუთდღიურში. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 14,3 პროცენტით. აფხაზეთში დავალება 10,4 პროცენტით არის შესრულებული, აჭარაში—3,4 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონში—24,2, ბოლნისის — 28, ყვარლის—20,3, მარნეულის—17,9, სიღნაღის—19,1, ზუგდიდის—10,1, ჩოხატაურის რაიონში—5,2 პროცენტით.

ჩვენს რესპუბლიკაში

გამოცდების პირველი დღეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პირველ აგვისტოს დაიწყო მისაღები გამოცდები სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. როგორც ყოველთვის, წელსაც დიდია უნივერსიტეტში შემსვლელთა რაოდენობა. ახალგაზრდობა განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენს ფიზიკა-მათემატიკის, ფიზიკა-ტექნიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ფაკულტეტებზე შესასვლელად.

წელს უნივერსიტეტში, ყველა ფაკულტეტზე შეტანილია 2.900 განცხადება. მრავალი განცხადება შეტანილია წინათ ჩამორჩენილი კუთხეებიდან, როგორიცაა ჯავახეთი, მესხეთი, თუშეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, სვანეთი და სხვ.

უნივერსიტეტში შემსვლელთაგან უკვე ჩარიცხულია 455 ახალგაზრდა, აქედან 207 ოქროს მედალოსანია, 218 ვერცხლის მედალოსანი, 23 ტექნიკუმების კურსდამთავრებული ფრიადოსანი.

წელს ერთ ვაკანტურ ადგილზე გამოცდებს აბარებს 5 კაცი.

სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღებისათვის უნივერსიტეტი დროულად მოემზადა. გამოიცა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები, ახალ მისაღებებთან წარმოებდა წინასწარი კონსულტაციები და სხვა.

პირველ აგვისტოს გამოცდები მიმდინარეობდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მათემატიკაში, ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტზე — ქიმიაში, ისტორიის ფაკულტეტზე—სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, იურიდიული ფაკულტეტის ერთ ჯგუფში ქართულ წერასა და ზეპირში, მეორეში —რუსულ წერასა და ზეპირში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე—გეოგრაფიაში.

როგორც 1 აგვისტოს, გუშინაც მისაღები გამოცდები სრული წესრიგით, წარმატებით ჩატარდა.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაღალი შეფასება მიიღეს დ. დავითულიანმა (მესტია), გ. გვარამაძემ (ახალქალაქი), ა. თათოშვილმა (ახალციხე) და სხვ.

უნივერსიტეტში გამოცდები 16 აგვისტოს დამთავრდება.

12 აგვისტოდან აქვე დაიწყება მისაღები გამოცდები მოსკოვისა და ლენინგრადის ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლებისათვის. აღნიშნულ სასწავლებლებში შემსვლელთა მსურველებისაგან მისაღებ გამოცდებზე დასაშვებ განცხადებათა მიღება უკვე დაწყებულია.

261.000 აგური გეგმის გადამეტებით

სამტრედია. (საკ. კორ.). აგურკრამიტის ქარხანამ პირველი ივლისისათვის ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით 261 ათასი ცალი აგური გამოუშვა. შრომის სწორად მოწყობით ქარხანაში შრომის ნაყოფიერება 13,2 პროცენტით გაადიდეს, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 5,8 პროცენტით.

წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ამჟამად მიმდინარეობს აგურის საყალიბო ახალი მძლავრი აგრეგატის დამონტაჟება, რომელიც ახლო მომავალში გადაეცემა საექსპლოატაციოდ, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას და უფრო გააუმჯობესებს მის ხარისხს.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლედი წლის ბოლოსათვის შეასრულოს.

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

ლამაზი აპოთეოზი

თვალუწვდენ სამგორის მინდორზე, სადაც ორხევის დავაკება იწყება, ფერად-ფერადი კარვები და ნაბდებით გადახურული მეცხვარე მწყემსთა თავშესაფარის მსგავსი „ბინები“ ჩანან. მახლობლად ავტომობილთა კოლონებია. საბარგო ავტომობილების გვერდით აქ ნახავთ კოპწია „მოსკვიჩებს“, მძლავრ, კომფორტულ „პობედებს“, ვერცხლისწყალივით დაუდეგარ, უგზო ადგილთა მძლეველ საბჭოთა „ვილისებს“.

აქა-იქ კვამლი ჩანს, ეტყობა მზარეულები სადილისათვის თადარიგს შესდგომიან, ხოლო არხის ტრასზე მტვრის ბუღია, როგორც გამოდარების პირველ დილას ალაზანზე ჩაწოლილი ნისლი. ქარია. დაფშვნილი ბალახის კორიანტელი დგას ყველგან და კაცი შორიდანვე შეამჩნევს, რომ არხზე დღეს მუშაობა იოლი საქმე არ იქნება.

ასეთი თავისებური, კოლორიტული ბანაკი წელს არ ყოფილა სამგორის ველზე.

საქართველოს ერთ-ერთი ხვავიანი ბეღლის, პურ-ღვინით სავსე ძველი ქიზიყის, ახლა სიღნაღის რაიონის კოლმეურნეებისაა ეს ბანაკი. 900-ზე მეტი ვაჟკაცი, კუნთმაგარი და გონებაგახსნილი ტალიკ-ტალიკი ბიჭები, თვითეული რომ ვეფხვს შეკრავს, საქმე თუ საქმეზე მიდგა, შეურჩევიათ რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს—საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანს მიხეილ ალავერდაშვილს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვლადიმერ მაზიაშვილს სამგორში წამოსაყვანად. სამაგალითოდ ორგანიზებულ ძალად, ერთი სულისკვეთებით შედუღაბებულ კოლექტივად მოევლინენ ზემოსამგორის მაგისტრალური არხის ტრასს ქიზიყელები. აქეთ, მათთვის მიჩენილ უბნამდე ბორჯომელებმა გაიყვანეს არხი, იქით—გურჯაანელებმა, ხოლო შუაში, თითქმის ნახევარი კილომეტრის მანძილზე არხის ტრასი უყით იყო გაწყვეტილი და ამ ორ უბანს შორის ბორჯომელთა და გურჯაანელთა უბნების შეერთება კოხტად გამოკაპიტებული არხის კალაპოტით, სიღნაღელებს დაეკისრათ. საამისოდ სიღნაღელებს მოუხდებათ აქ არხის კალაპოტიდან ამოიღონ 9.000 კუბმეტრი მიწა.

კოლმეურნეთა შრომის ორგანიზებულად მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანეს ისაკ ძანაშვილმა, ალაზანშენის მთავარმა ინჟინერმა და სამგორის ველის დაგეგმარების ყოფილმა მონაწილემ ალექსანდრე ოდიშვილმა, ინჟინერმა ივანე ბოჭორიშვილმა, ტექნიკოსმა შალვა ტურიაშვილმა, სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა. ყველა წვრილმანი, ყველა მოსალოდნელობა გაითვალისწინეს, კარგად მოემზადნენ და ამის შედეგად შესანიშნავ წარმატებასაც აღწევენ. მარტო პირველ დღეს, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, სიღნაღელებმა 2.100 კუბმეტრი მიწა ამოყარეს არხის კალაპოტიდან. ქარსა და კორიანტელში, როდესაც ადამიანს თვალის გახელაც კი უჭირს, მიწის თხრა იოლი საქმე როდია, მაგრამ ისეთნი არ არიან ქიზიყის შვილნი, რომ ბუნების ასეთი ჭირვეულობის წინაშე ქედი მოიხარონ. სასწრაფოდ აფრინეს ავტომანქანით თბილისში კაცი — ცხრაასი მტვრის საწინააღმდეგო სათვალე შეიძინე და დაუყოვნებლივ დაბრუნდიო. სადილობისათვის შესვენება დამთავრებული არ იყო, რომ თბილისიდან სათვალეებით სავსე ავტომობილით დაბრუნდა შიკრიკი. ხალხი ხელახლა მოეფინა ტრასს, ხელახლა ავარდა მტვრის ბუღი, ახალი ძალით გაჩაღდა შრომაში შეჯიბრება დაწესებული გარდამავალი წითელი დროშის მოსაპოვებლად.

სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ნავროზაშვილი—სოფელ მაღაროს მილიონერ კოლმეურნეობა „შრომას“ თავმჯდომარე, მეთაური მისი კოლმეურნეობიდან სამგორში ჩამოსული 90 კოლმეურნისა, თავის „რაზმს“ მოუწოდებდა—დღეს ჩვენ უნდა დაგვრჩეს რაიონული გარდამავალი წითელი დროშაო.

თურმან თარყაშვილი—სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი თავიანთ კაცებს ვალერიან კოჭლამაზაშვილს, მიხეილ ლეკიაშვილს, გიორგი ქუფარაშვილს, ვასო გოჩიტაშვილს და სხვებს აქეზებდა—რატომ უნდა გვჯობდნენ მაღაროელმა კოლმეურნეებმა, თუნდაც იმავე ვალიკო ქერელაშვილმა, სიკო შაიშმელაშვილმა ან ვასო ყანდაშვილმა, დროშა რატომ ჩვენ არ უნდა დაგვრჩესო.

მარტო ისინი როდი იბრძვიან თავგამოდებით დაწინაურებისათვის, სამგორიდან სახელოვნად დაბრუნებისათვის. ივანე თანდაშვილი, სოფელ ანაგის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსულთა ხელმძღვანელად გამოყოფილი ბრიგადირი, თავისიანებს აჩქარებს—მალე მოვრჩეთ აქ მუშაობას, მალე დავბრუნდეთ კოლმეურნეობაში, რომ შემდეგ თამბაქო და მზესუმზირა ავილოთ, წავეხმაროთ იქ დარჩენილებს, აქედან ჩვენი გამარჯვების დროშა ჩავიტანოთო.

რაიონის 10 სასოფლო საბჭოს 37 კოლმეურნეობიდან ჩამოვიდნენ სამგორის მშენებლობაზე ქიზიყელი კოლმეურნეები. ვინ ვის სჯობს, ვინ მეტი მონდომებით, უფრო დაუღალავად, მეტი ენერგიით მუშაობს, ძნელია გარკვევა. ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ლადო ბატიაშვილის, ვანო გოძიაშვილის, დათა კოზაკიშვილის მუშაობას თუ დააკვირდება კაცი, იტყვის ამათზე უფრო ნაყოფიერად განა შეიძლება მუშაობაო. კოლმეურნეობის თავმჯდომარე რევაზ ნანობაშვილი კი მათგან მუშაობის ტემპის უფრო გაძლიერებას მოითხოვს. ვასილ ლაზუტინი, ულიანოვკელი კოლმეურნეების ხელმძღვანელი, თავისი კოლმეურნეობის წევრებს მაგალითად მეზობელი ნუკრიანელების ვანო ხმალაძის, შალვა შაიშმელაშვილის, სანდრო ბახტურიძის, ილო ელიზბარაშვილის მუშაობას უსახელებს.

მართლაც მოგხიბლავთ სიღნაღელი კოლმეურნეების მუშაობა. რა გამძლე, რა ენერგიისა და შეძლებისა ყოფილან ქიზიყის შვილებიო, ამბობენ სამგორზე მრავალთა შრომის მოწმენი სამგორელი ინჟინრები შალვა დავითულიანი, თამარ მაჭავარიანი, გეოდეზისტი სერგი ჩაჩუა.

* * *

წინათაც ასე იყო. ქიზიყელთა ლაშქარს ბრძოლის ველზე გადამწყვეტ მომენტში გამოიყვანდნენ გონიერი სარდლები და ეს იყო ნიშანი მტრის უკუქცევისა, ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვებისა. ახლაც: ქიზიყელებმა აგემეს უკანასკნელი, დამაგვირგვინებელი დარტყმა სამგორის ჯიუტ მიწას იორის წყლისათვის გზის მისაცემად. სწორად შეუნიშნავს საქართველოს დიდ გეოგრაფს ვახუშტის „კაცნი მბრძოლნი, ახოვანნი, უდრეკნი, შემმართებელნი, მიმყოლნი ურთიერთთაო“. მცხეთელების, თბილისის რაიონის კოლმეურნეების მიერ დაწყებულ საქმეს, საქართველოს 30-მდე სხვა რაიონიდან ჩამოსულთა მიერ განგრძობილ სამგორის წლევანდელ სამუშაოებს ქიზიყელი პატრიოტები წარმატებით ამთავრებენ.

* * *

— ვისია ეს „მოსკვიჩები“ და „პობედები“?

— ერთი ჩემია. აქეთ რომ დგას ვერცხლისფერი ავტომობილი-ეტლი, ის მიხეილ ნავროზაშვილისაა, სოციალისტური შრომის გმირისა. მის გვერდით ალაზნელი ინჟინრის ალექსანდრე ოდიშვილის მანქანა დგას. მეოთხე... ბევრსა ჰყავს ახლა სიღნაღის რაიონში საკუთარი ავტომანქანა. საინტერესო იყო აქ წამოსვლისას მათი შეჯიბრება მატარებელთან..

— ეს ელექტროგანათება ვინღა მოაწყო?

— ჩამოსვლისთანავე მოვაწყეთ. რაიონში გვყავს დახელოვნებული კინომექანიკოსი ვალერიან ოღიაშვილი. მან წამოიღო მოძრავი ელექტროაგრეგატი, დადგა არხის მახლობლად, სახელდახელოდ გაყვანილ ბოძებზე გააბა მავთული, ჩამოჰკიდა ელექტრონათურები და ხალხს ღამე მუშაობის საშუალება მისცა.

ცნობისმოყვარულ კითხვებს აღმასკომის თავმჯდომარის დამაჯერებელი პასუხი მოსდევდა. არხზე ჟრიამული არ ცხრებოდა, საღამო ჟამი ახლოვდებოდა. ხალხს თავი მოუყარეს. ისაკი ძანაშვილმა ხმამაღლა წაიკითხა ჟიურის დადგენილება პირველი დღის მუშაობის შედეგებზე. ცოტა ხნის შემდეგ მაღაროელი კოლმეურნეების ბინაზე რაიონული გარდამავალი წითელი დროშა აფრიალდა.

მოსაღამოვდა და ქიზიყელები ხელადებით დამშვენებულ სავახშმო სუფრას მიუსხდნენ. ელექტროსანათურები გაბრწყინდნენ არხის კალაპოტის გასწვრივ. ახალი ცვლა შეუდგა მუშაობას. სიღნაღელ კოლმეურნეთა ბანაკი, მათ მიერ გაცოცხლებული სამგორი შორიდან მოჩანდა, როგორც დიდი სანახაობის შესანიშნავი დასკვნითი სურათი, ყოვლისშემძლე კოლექტიური შრომის ლამაზი აპოთეოზი.

დ. ლომთაძე

აქტივი სწავლობს მრეწველობის ეკონომიკას

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის სამმართველოსთან შექმნილია წარმოების მუშაკთა მუდმივმოქმედი სემინარი 33 კაცისათვის. მათ შორის არიან მაღაროთა დირექტორები, ტრესტის ხელმძღვანელი მუშაკები. ისინი აქ ეუფლებიან მრეწველობის ეკონომიკის საკითხებს.

სემინარული მეცადინეობისათვის ინჟინერმა შ. პაქსაშვილმა მოამზადა მოხსენება თემაზე — „სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა და მისი ოთხ წელიწადში შესრულების გზები“. ტრესტის მოწყობილობათა განყოფილების უფროსმა ინჟინერმა ვ. ციცვიძემ მოამზადა საინტერესო თემა — „მრეწველობის ტექნიკა და მისი განვითარება“. ინტერესით იქნა მოსმენილი ტრესტის მმართველის ინჟინერ შ. შეყლაშვილის მოხსენება — „მომჭირნეობის რეჟიმი, სამეურნეო ანგარიში და თვითღირებულება მრეწველობაში“. ახლახან ჩატარდა შინაარსიანი მოხსენება თემაზე „წარმოების მაღალი კულტურისათვის ბრძოლა მარგანეცის მრეწველობაში“. საკითხი მოამზადა ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსმა შ. პაქსაშვილმა. მოსმენილ იქნა აგრეთვე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ტრესტის მთავარი გეოლოგის ა. გავაშელის მოხსენება.

ახალი საკითხების დაყენებაში აქტივობას იჩენენ ტრესტის მთავარი ენერგეტიკოსი შ. სუმბაძე, მადნის გაუხვების მთავარი ინჟინერი კ. ჯინჭველაშვილი, ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროების დირექტორები ინჟინრები ა. ფხალაძე და ა. მოდებაძე, ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის დირექტორი შ. ახვლედიანი, ტრესტის კომუნალური განყოფილების გამგე რ. დარბაიძე და სხვ.

სამეურნეო მუშაკები სემინარზე მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებენ.

ახალი საკოლმეურნეო ქოხ-სამკითხველოები

ასპინძა. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრიდან დიდი მანძილით დაშორებულ სოფელ ქუნცის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ამას წინათ გაიხსნა ქოხ-სამკითხველო. სოფელ საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ამთავრებს 250-ადგილიანი კლუბ-სამკითხველოს შენობის აგებას. საკოლმეურნეო სამკითხველოები ამჟამად რაიონის ყველა კოლმეურნეობაშია გახსნილი. კოლმეურნეობები თავიანთი სამკითხველოებისათვის იძენენ პოლიტიკური, მხატვრული და აგრონომიული ხასიათის დიდძალ ლიტერატურას. ვარგავის კოლმეურნეობამ შეიძინა 2.000 მანეთის ლიტერატურა, თოკის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ — 1.000 მანეთისა, საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ—4.000 მანეთისა და ა. შ.

სულ რაიონში 25.000 მანეთის ლიტერატურაა შეძენილი საკოლმეურნეო სამკითხველოების წიგნის ფონდის გასამდიდრებლად.

რადიოკვანძი კოლმეურნეობაში

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ააგეს 100-ვატიანი რადიოკვანძი, რომელზეც 300 წერტილი იმუშავებს. ამჟამად კოლმეურნეთა ბინებში იწყობა რადიოწერტილები.



ზემო-სამგორის მაგისტრალური არხის ტრასზე: სკრეპერები (მიწის მექანიკურად მჩრელი, მომხვეტი და გადამტანი მანქანები) მლაშე ტბის მიდამოებში; ექსკავატორი მუშაობის დროს; გეოდეზისტი სერგი ჩაჩუა არხის კალაპოტის ნიველირებაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

პარტიული ცხოვრება

ზრუნვა ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის

1948-1949 წლის მანძილზე ზესტაფონის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში მიღებულია 250-მდე წევრ-კანდიდატი. რაიონის პარტიული ორგანიზაციები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი მითითების შემდეგ უფრო სერიოზულად ეკიდებიან პარტიაში მისაღებთა შერჩევას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიაში ახლად მიღებულთა ბოლშევიკურად აღზრდის საქმეს. პარტიის რაიონული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად აწყობენ სპეციალურ თათბირებს ახლად მიღებულ კომუნისტთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირითადი საკითხების განსახილველად.

ლ. ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველად პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ალ. გაჩეჩილაძე) 100-ზე მეტი ახალგაზრდა კომუნისტია. აქ ყოველთვიურად ეწყობა საამქროთა პარტორგანიზაციების მდივნების სემინარები ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების საკითხებზე; ამას გარდა, მიმდინარე წელს ორჯერ ჩატარდა ახალგაზრდა კომუნისტთა საქარხნო შეკრება. კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით ქარხანაში სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: „პარტიის წევრთა უფლება-მოვალეობანი", „დემოკრატიული ცენტრალიზმის შესახებ", „საქართველო ახალ ხუთწლედში" და სხვ. დავალებათა შესრულების სისტემატურმა შემოწმებამ ხელი შეუწყო მინდობილი საქმისათვის ახალგაზრდა კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი. მდნობელი ი. ბერუაშვილი და ვ. ჩიტიძე ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს პარტიაში. ისინი საწარმოო დავალებებს 130-140 პროცენტით ანაღდებენ. ქარხანაში უმწიკვლო მუშაობისათვის ახალგაზრდა კომუნისტები: დ. ღვინჯილია, ო. ბოჭორიშვილი, ი. ტალახაძე, ს. კახნიაშვილი დაჯილდოებული არიან ორდენებით და მედლებით.

სოფელ ქვედა საქარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის სერიოზულად მუშაობს საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ლელაძე). ახალგაზრდა კომუნისტებთან ხშირად ეწყობა გასაუბრებანი პარტიის ისტორიის საკითხებზე. თვით პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ლელაძე კოლმეურნეობაში მოწინავე ბრიგადირად ითვლება. პარტიაში ახლად მიღებულ ამხ. შ. მერკვილიშვილს, რომელიც ბრიგადირად დააწინაურეს, პირველ ხანებში მუშაობა უჭირდა, მაგრამ პარტორგანიზაციის დახმარების შედეგად იგი საკოლმეურნეო შრომის მოწინავე ორგანიზატორი გახდა.

სერიოზულ მუშაობას ეწევა ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის არგვეთის ბერიას სახელობის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი პ. ჭაჭიაშვილი). აქ გასულ წელს პარტიის კანდიდატად მიიღეს მოწინავე მუშა ნ. ქათამაძე, რომელიც მალე ბრიგადირად დააწინაურეს. ამხ. ქათამაძის ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვალდებულება იკისრა, რომ ჰექტარზე 120 ცენტნერ ყურძენს მოიყვანს. ამ ვალდებულების შესასრულებლად ბრიგადა წარმატებით იბრძვის.

რაიონში მოიპოვებიან ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ახალგაზრდა კომუნისტთა შორის. ასეთ პარტიულ ორგანიზაციათა რიცხვს ეკუთვნის ზესტაფონის საელმავლო დეპოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია; ამ ორგანიზაციაში ახალგაზრდა კომუნისტთა საგრძნობ ნაწილს პარტიული დავალება არა აქვს, ახალგაზრდა კომუნისტები გ. გოლობიანი, ვ. იჩქიტიძე, ა. გოგელია და სხვები ვერ ერკვევიან პარტიის წესდებისა და პროგრამის საკითხებში. სუსტად მუშაობს ახალგაზრდა კომუნისტთა შორის სოფელ მეორე სვირის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციაც.

ზესტაფონის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც საკმაო გამოცდილება აქვთ ახალგაზრდა კომუნისტთა შორის მუშაობის დარგში, კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს. არ უნდა იყოს არც ერთი ისეთი პარტორგანიზაცია, სადაც ახალგაზრდა კომუნისტთა ბოლშევიკური აღზრდა სათანადოდ არ იქნება დაყენებული.

ს. მუმლაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

რატომ ჩამორჩა ლეწვა და პურის დამზადება?

კასპელი კოლმეურნეები სწრაფად იღებენ პურეულს. სამაგიეროდ არადამაკმაყოფილებელია ლეწვისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპი. 3.650 ჰექტარზე აღებული პურეულიდან გალეწილია მხოლოდ 300 ჰექტარის მოსავალი, დაზვინული და კალოებსა და სალეწ პუნქტებზე გადატანილია 1.155 ჰექტარის მოსავალი. ამ ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია ის, რომ ვერ მოაწესრიგეს შრომა და მთლიანად ვერ იყენებენ ძალებს.

სოფელ კასპის კოლმეურნეობა „ბრძოლაში" პურეული ხელით აიღეს 90 ჰექტარზე, ლეწვა კი ჯერაც არ დაუწყიათ. სალეწი მანქანა უქმად დგას. მკასთან ერთად პურს არ ზვინავენ. ამას აქ ასე ხსნიან: მუშახელი ნაკლებ გვყავს, ჯერ მთლიანად ავიღებთ მოსავალს და მერე ლეწვას შევუდგებით. ლეწვის გაჭიანურება კი აბრკოლებს პურის დამზადების გეგმის შესრულებას. კოლმეურნეობას საკმაო მუშახელი ჰყავს, მაგრამ სწორად ვერ გაუნაწილებია. მაგალითად, 26 ივლისს თავთავის აკრეფაზე სამუშაოდ მარტო ერთ ბრიგადაში გამოიყვანეს ქალები. ამ სამუშაოზე მოზარდები არ გამოუყენებიათ, დანაკარგებთან ბრძოლა სუსტად მიმდინარეობს, ყოველ კვადრატულ მეტრზე დარჩენილია 15-20 თავთავი. კოლმეურნეობას შეუძლია თავთავების აკრეფაზე მოზარდები გამოიყენოს, ხოლო კოლმეურნეთა ნაწილი პურეულის ზიდვასა და ლეწვაზე ამუშაოს.

სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 219 ჰექტარი პურეული ხელით აიღეს. აქედან დაზვინულია მხოლოდ 70 ჰექტარის მოსავალი, გალეწილია 50 ჰექტარისა. სალეწი მანქანის ამუშავება ვერ მოუხერხებიათ. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც აღაიანის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებშია. ამ საბჭოში მარტო ხელით აღებულია 323 ჰექტარის პურეულის მოსავალი. ფაქტიურად გალეწილია მხოლოდ 13 ჰექტარის მოსავალი. მსგავსი მდგომარეობაა კავთისხევისა და ქვემო ჭალის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებშიც.

მტს-ს 7 სალეწი მანქანა მზად აქვს, მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე აშკარა დაუდევრობას იჩენს მანქანების გამოყენებაში. მაგალითად, სოფელ კიდისწყლის კოლმეურნეობა „მაგალითს" გრაფიკით სალეწი მანქანა მტს-იდან უნდა გაეტანა 1 ივლისისათვის, რამდენჯერმე გაახსენეს, მაგრამ რატომღაც დღესაც არ გაუტანია.

კომბაინერი კომუნისტი ნ. პატარქალიშვილი კარგად ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. 10 სამუშაო დღეში პატარქალიშვილმა უკვე აიღო 110 ჰექტარი პურეულის მოსავალი. მაგრამ ყველა ასე როდი მუშაობს. მაგალითად, კომბაინერი ვასილ აზმაიფარაშვილი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს. ტექნიკური მიზეზის გამო მისი კომბაინი მომცდარი იყო 80 სამუშაო საათს. დიდი მოცდენები აქვს აგრეთვე დ. ბაინდურაშვილს: 15 სამუშაო დღიდან მთლიანად გაცდა 9 დღეს. ნაკლები ყურადღება ექცევა კომბაინერთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. 15 დღეა, რაც კომბაინი გავიდა საკოლმეურნეო მინდვრებში სამუშაოდ და ერთხელაც არ ჩაუტარებიათ საუბრები, არ გამოუშვიათ საველე გაზეთი და სხვ.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება ზოგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ცალკეულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ამ საქმეში აშკარა უპასუხისმგებლობას იჩენენ. მაგალითად, სოფელ თვალადის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ხოფერაშვილი) „ზაგოტზერნოს" კასპის მიმღებ პუნქტში გაგზავნა 300 კილოგრამი გაუწმენდავი მარცვალი. სოფელ ხვითის კოლმეურნეობამ „სწორმა ნაბიჯმა" პუნქტში მიიტანა 600 კილოგრამი გაუწმენდავი მარცვალი. ორ დღეს ეს მარცვალი „ზაგოტზერნოს" მიმღები პუნქტის ეზოში ეყარა და შემდეგ როგორც იქნა მარცვალი გაწმინდეს. ამით კოლმეურნეობამ მუშახელიც გააცდინა და ტრანსპორტიც. უპასუხისმგებლობას იჩენენ აგრეთვე სოფელ ბოჟანის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ პანტიანის ბაქრაძის სახელობის და სოფელ ერთაწმინდის კოლმეურნეობებშიც.

საყვედურის ღირსი არიან თვით „ზაგოტზერნოს" მიმღები პუნქტის მუშაკებიც. მაგალითად, პირველ საწყობში (გამგე მ. ძნელაძე) მარცვლეულს ისე იღებენ, რომ დაცლის დროს საწყობის შესასვლელ კართან მარცვალი მიწაზე ცვივა და ფუჭდება. ამის თავიდან ასაცილებლად ტომრის ან ბრეზენტის დაფენაც კი ვერ მოუხერხებიათ.

თუ აღნიშნული ნაკლოვანებანი ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ არ გამოასწორეს, შესაძლოა ლეწვა დიდხანს გაჭიანურდეს, მრავალი ათეული ფუთი პური დაიკარგოს და ამასთან პურის დამზადების გეგმის დროულად შესრულებაც დაბრკოლდეს.

შ. ჭოჭუა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

საბჭოთა კავშირი არ მიიღებს მონაწილეობას ზაგრების გამოფენაში

ამა წლის მარტ-აპრილში ზაგრების (იუგოსლავია) საერთაშორისო გამოფენის დირექციისა და მოსკოვში იუგოსლავიის საელჩოს სავაჭრო მრჩევლის მომართვასთან დაკავშირებით, საკავშირო სავაჭრო პალატა და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციები დათანხმდნენ მონაწილეობა მიეღოთ ზაგრების გამოფენაში, რომელიც 1949 წლის სექტემბერში იხსნება, და მოემზადნენ ამ მონაწილეობისათვის.

მაგრამ [illegible] ფაქტები, რომ იუგოსლავიის ხელისუფალნი მხეცურად ეპყრობიან იუგოსლავიაში მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებს, რამაც საბჭოთა ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ამის გამო სსრ კავშირის მთავრობამ მითითება მისცა საკავშირო სავაჭრო პალატას და საბჭოთა ორგანიზაციებს უარი თქვან ზაგრების გამოფენაში მონაწილეობაზე.

თიბვა და საკვების დასილოსება

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 აგვისტოს ცნობებით)

რაიონების დასახელება	ბუნებრივი სათიბებიდან თივის აღების გეგმის შესრულება პროცენტობით	საკვების დასილოსების გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონების დასახელება	ბუნებრივი სათიბებიდან თივის აღების გეგმის შესრულება პროცენტობით	საკვების დასილოსების გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	6,9	—	ახალქალაქი	64,0	49,3
აჭარის ასსრ	7,9	—	ბოგდანოვკა	76,2	83,9
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	25,4	0,5	ახალციხე	34,3	9,7
აბაშა	—	—	ადიგენი	53,2	3,7
ცხაკაია	—	—	ასპინძა	75,4	61,6
გეგეჭკორი	30,0	—	ხაშური	130,4	—
ზუგდიდი	—	—	ქარელი	85,9	—
ხობი	—	—	გორი	70,0	—
წალენჯიხა	—	—	კასპი	42,9	—
ჩხოროწყუ	—	—	ბორჯომი	15,3	62,5
მახარაძე	—	—	წალკა	44,7	67,0
ლანჩხუთი	—	—	დუშეთი	15,1	—
ჩოხატაური	2,9	—	თეთრი წყარო	49,6	71,4
ფოთი	40,5	—	თიანეთი	52,3	3,6
ქუთაისი	—	23,0	ყაზბეგი	—	—
წყალტუბო	—	—	გურჯაანი	100,0	47,6
სამტრედია	—	—	კაჭრეთი	100,0	48,8
წულუკიძე	—	—	სიღნაღი	97,1	55,0
ვანი	4,0	—	წითელწყარო	100,5	75,0
მაიაკოვსკი	40,0	62,3	თელავი	76,8	10,6
ზესტაფონი	—	14,2	ახმეტა	101,4	5,7
ჩხარი	—	9,1	ყვარელი	100,0	—
ჭიათურა	65,0	19,7	ლაგოდეხი	103,3	6,2
საჩხერე	27,1	12,2	თბილისი	99,9	36,0
ორჯონიკიძე	22,0	10,3	მცხეთა	52,1	7,1
ტყიბული	—	—	გარდაბანი	75,4	—
ონი	39,8	11,5	მარნეული	76,0	6,3
ამბროლაური	37,8	0,6	ბოლნისი	93,4	11,5
ცაგერი	45,0	—	საგარეჯო	70,6	10,3
ქვემო სვანეთი	11,2	4,8	დმანისი	68,5	81,0
ზემოსვანეთი	—	—			
ქლუხორი	41,2	95,2	სულ რესპუბლიკაში	53,6	26,8

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 1 აგვისტოს ცნობებით)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა	გეგმის შესრულება პროცენტობით: ივლისის თვის გეგმისა	რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა	გეგმის შესრულება პროცენტობით: ივლისის თვის გეგმისა
ბათუმი	58,2	79,6	წყალტუბო	65,8	89,9
ქობულეთი	60,5	84,4	ტყიბული	84,3	171,5
სულ აჭარაში	59,9	83,2	ცხაკაია	81,3	155,8
გალი	72,7	112,3	აბაშა	86,2	159,0
ოჩამჩირე	70,8	104,6	გეგეჭკორი	88,7	152,9
გულრიფში	81,6	77,0	ზუგდიდი	75,2	127,2
სოხუმი	80,6	130,8	წალენჯიხა	72,4	120,9
გუდაუთი	89,0	157,2	ჩხოროწყუ	75,5	134,9
სულ აფხაზეთში	78,8	111,9	ხობი	73,4	122,8
მახარაძე	62,0	89,3	ჩხარი	76,8	75,6
ჩოხატაური	59,0	77,3	ზესტაფონი	85,5	90,0
ლანჩხუთი	60,6	82,1	სულ საქართველოში	68,1	102,6
სამტრედია	74,2	107,7			
წულუკიძე	75,9	122,3			
ქუთაისი	120,4	197,9			

შენიშვნა: მახარაძის რაიონის ცნობები არასრულია.

მეშახტეთა ახალი უბანი

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე გაშენდა მეშახტეთა ახალი უბანი, სადაც დასახლდა მეშახტეთა ორმოცამდე ოჯახი. თვითეულ ოჯახს მიეცა ორ ან სამოთახიანი ბინა საკუთარი სამზარეულოთი და საჭირო სათავსოებით. დაწყებულია და მალე დამთავრდება ამ ბინების რადიოფიცირება. მცხოვრებთა კულტურული მომსახურების მიზნით გაიხსნება მაღაზია, პურის გასაყიდი კიოსკი და წითელი კუთხე.

პური—სახელმწიფოს

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მოწინავე კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. ზნაურის რაიონის სოფელ ტიგვის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 2 ტონა მარცვლეული, პრინევის კოლმეურნეობამ—ორნახევარი ტონა, ავნევის კოლმეურნეობამ — 6 ტონა. „ზაგოტზერნოს" სტალინირის მიმღებ პუნქტში ახალი მოსავლით დატვირთული ქარავნები განუწყვეტლივ მიედინებიან სტალინირის რაიონის სოფელ დიდი ძარწემის, არცევის, ზემო ხეთის, ქურთის და სხვა კოლმეურნეობებიდან.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე ტომი

საქართველოს „სახელგამმა" ქართულ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე ტომი, რომელშიც მოთავსებულია 1921-1923 წლებში დაწერილი შრომები. ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში ეს პერიოდი ერთ-ერთი უაღრესად პასუხსაგები პერიოდი იყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც საბჭოთა ქვეყანამ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაამარცხა ინტერვენტები, გაიმარჯვა სამოქალაქო ომში და შეუდგა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას, ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა პარტიამ მძიმე პირობებში ბრწყინვალედ განახორციელა მობრუნება სამხედრო კომუნიზმიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე დაიწყო სოფლის მეურნეობისა და საქონელბრუნვის გამოცოცხლება, ქალაქების მომარაგების გაუმჯობესება, მრეწველობის განვითარება, შეიქმნა მუშათა და გლეხთა კავშირისათვის ახალი სამეურნეო საფუძველი. ამ ამოცანათა გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული მაშინ სოციალისტური რევოლუციის ბედი ჩვენს ქვეყანაში. ამით აიხსნება, რომ ი. ბ. სტალინის მეხუთე ტომის ძირითადი შინაარსი განისაზღვრება საკითხებით, რომლებიც განიხილავენ პარტიის ამოცანებს სახალხო მეურნეობის აღდგენის დარგში, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ახალ ფორმებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, პარტიის მასებთან კავშირის ფორმებსა და მეთოდებს, პარტიის ორგანიზაციული და იდეური ერთიანობის განმტკიცების ღონისძიებებს.

ომის დამთავრებისა და მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლისთანავე გამოირკვა, რომ სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკამ ამოსწურა თავისი თავი და ახალ ვითარებაში აღარ გამოდგებოდა. დადასტურდა, რომ ქვეყანაში, სადაც სჭარბობს გლეხობა, ქალაქად და სოფლად კაპიტალისტური ელემენტების ციხე-სიმაგრის პირდაპირი შეტევით აღება შეუძლებელია, რომ ამ ციხე-სიმაგრის აღება უნდა მოხდეს შემოვლითი გზით. მიზანი იგივე დარჩა, მაგრამ მის მისაღწევად საჭირო გახდა მეტი დრო ძალების დასაგროვებლად იმისათვის, რათა კვლავ დაწყებულიყო შეტევა, რომელიც კაპიტალიზმის ყველა ნაშთების ლიკვიდაციით დაგვირგვინდებოდა. ახლა, როდესაც ყოველივე ეს განხორციელებულია და თვალს ვავლებთ ჩვენი სამშობლოს დიად ისტორიას, გვაოცებს და აღგვაფრთოვანებს გენიალური შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა ძლევამოსილად მიჰყავდა და მიჰყავს წინ კომუნიზმის გზით.

1921 წლის მარტში ბოლშევიკური პარტიის X ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ. ამ ისტორიული მობრუნების პერიოდში პარტიას ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გადამწყვეტი ბრძოლების წარმოება მოუხდა ტროცკისტულ და სხვა ოპოზიციურ ჯგუფებთან. ამ ჯგუფების იდეური მხილება და ორგანიზაციული განადგურება აუცილებელი პირობა იყო სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის საბჭოთა ქვეყანაში. ამიტომ უთმობდნენ ამ საკითხს დიდ ყურადღებას ლენინი და სტალინი.

ბოლშევიკური პარტიის ერთიანობისა და ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მისი შემჭიდროებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის სტატიას „ჩვენი უთანხმოებანი", რომელშიც ბრწყინვალედ არის დასაბუთებული, რომ საბჭოთა ქვეყანას, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტს გლეხობა შეადგენს, შეიძლება ვუწინამძღვროთ „მხოლოდ მუშათა კლასის საშუალებით და მუშათა კლასის ძალებით". ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდეს მუშათა კლასის სრული და მტკიცე ნდობა, ხოლო ასეთ მტკიცე ნდობას პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ იმსახურებენ იმით, რომ სისტემატურად და ყოველმხრივ ანვითარებენ მუშათა კლასის შემადგენლობას, თვითმოქმედებას, ინიციატივას, ზრდიან მას კომუნიზმის სულისკვეთებით.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ახალ ფორმებს, პარტიის იდეური და ორგანიზაციული განმტკიცების საკითხებს აშუქებენ ამხანაგ სტალინის მოხსენებანი X და XII ყრილობაზე და სტატია „პერსპექტივები".

ცნობილ სტატიაში „პერსპექტივები", რომელიც 1921 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნდა, ამხანაგი სტალინი ანვითარებს მარქსისტულ მოძღვრებას პროლეტარულ რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურაზე. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ფაქტიური კავშირი, რაც რევოლუციის მსვლელობაში შეიქმნა, არსებულ ისტორიულ პირობებში შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს რუსეთში.

კომუნისტების მოვალეობაა შეინარჩუნონ და განამტკიცონ ეს ფაქტიური კავშირი" (გვ. 134).

ამ სტრიქონებიდან ცხადია, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი, რაც პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველს შეადგენს, არ არის დროებითი და ხანმოკლე ღონისძიება, არამედ იგი ნავარაუდევია ხანგრძლივი პერიოდისათვის, რომელშიც უნდა დაიწყოს და განხორციელდეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა. ამ კავშირში ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის. ეს არის სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის აუცილებელი პირობა. ცხადია, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ფორმები ყოველთვის ერთნაირი არ იქნება. სამოქალაქო ომის დროს მას ერთი ფორმა ჰქონდა, ნეპის პირობებში სხვა ფორმა. მაგრამ მისი ძირითადი შინაარსი და მიზანდასახულობა უცვლელია: ეს არის სოციალისტური საზოგადოების აგება პროლეტარიატის დიქტატურაზე დაყრდნობით, დიქტატურაზე, რომლის წარმმართავ ძალას კომუნისტური პარტია წარმოადგენს.

ამხანაგმა სტალინმა გააცამტვერა II ინტერნაციონალის მესვეურთა თეორიული დოგმა, რომლის მიხედვით მუშებს ძალაუფლების აღება და შენარჩუნება შეუძლიათ მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ. ეს დებულება, რომელიც ოპორტუნისტებმა იმისთვის გამოიგონეს, რათა საკუთარი თავისადმი რწმენა, რევოლუციის რწმენა წაართვან მშრომელთ, ემყარება იმ ვარაუდს, რომ წვრილი ბურჟუაზია, უპირველეს ყოვლისა გლეხობა, არ შეიძლება პროლეტარიატის მოკავშირე იყოს არც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში და არც ძალაუფლების აღების შემდეგ სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ამ დებულებას ემყარებოდნენ II ინტერნაციონალის ლიდერები, როცა ისინი უარყოფდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერ ხასიათს. რევოლუციისადმი სიძულვილითა და შიშით შეპყრობილნი, ისინი ვერ ხედავდნენ იმას, რომ რუსეთი არ მიდიოდა დასავლეთ ევროპის მიერ გატკეპნილი გზით, რომ რევოლუციური მოძრაობა რუსეთში განსხვავებულ ისტორიულ პირობებში ვითარდებოდა და ამიტომ მას თვით უხდებოდა ახალი უვალი გზების გაკაფვა სოციალიზმისაკენ.

სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინურმა თეორიამ, რომელიც ხორცშესხმულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებით, იმთავითვე დაგმო და უკუაგდო II ინტერნაციონალის „თეორიული" დოგმები, რომელთა მიხედვით რევოლუცია შეუძლებლად ცხადდება, თუ ქვეყანაში არ არის პროლეტარული უმრავლესობა და მრეწველობის განვითარების ყველაზე მაღალი დონე. ამ ანტირევოლუციურ „თეორიებს" (რამდენადმე შეცვლილი სახით) იყენებდნენ ლენინიზმის მტრები ტროცკისტთა და ბუხარინელთა ბანაკიდან. სოციალისტური რევოლუციის ბოლშევიკურმა თეორიამ კოლოსალური როლი შეასრულა და კვლავაც შეასრულებს კომუნიზმისათვის მშრომელთა ბრძოლაში მთელ მსოფლიოში.

* * *

ი. ბ. სტალინის მეხუთე ტომის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაციონალურ საკითხს ეხება. სტალინმა ლენინთან ერთად ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაამუშავა ნაციონალური საკითხი. სტალინი რევოლუციის წინ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში უკვე ცნობილი იყო, როგორც ბოლშევიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი ნაციონალურ საკითხში, როგორც ავტორი კლასიკური ნაშრომისა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".

ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე ხანებში შეიქმნა ეროვნებათა სახალხო კომისარიატი, რომლის სათავეში, მთელი მისი არსებობის მანძილზე, იდგა დიდი სტალინი. მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ოსტატურად გამოყენებით ამხანაგმა სტალინმა დაამუშავა საბჭოთა რესპუბლიკებში ერების განვითარების, ამ რესპუბლიკების საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში გაერთიანების ფორმები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს დიდი რუსი ხალხის გარშემო განაპირა ქვეყნების ხალხთა შემჭიდროების საქმეში, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში.

უდიდესი ყურადღება, რასაც ლენინი და სტალინი უთმობენ ამ პერიოდში ნაციონალურ საკითხს, აიხსნება იმით, რომ საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ წინათ ჩაგრული ხალხები, ხოლო მოსახლეობის ძირითად ნაწილს გლეხობა შეადგენდა. საკითხი მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებისა გლეხობასთან კი იმ დროს განსაკუთრებით მწვავედ იდგა. მის დადებითად გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული რევოლუციის ბედი, სოციალიზმის მშენებლობის ბედი.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ასი წლის წინათ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" წერდნენ: „ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთად დაეცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი". ამ მარქსისტული დებულების განვითარებასა და კონკრეტიზაციას წარმოადგენს ახალ ისტორიულ ვითარებაში ამხანაგ სტალინის მიერ პარტიის X ყრილობაზე წამოყენებული თეზისი: „თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად აცალკევებენ ადამიანებს, აღვივებენ ნაციონალურ შუღლს და აძლიერებენ ნაციონალურ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად აახლოებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ნაციონალურ შუღლს და სპობენ ნაციონალურ ჩაგვრას. კაპიტალიზმის არსებობა ნაციონალური ჩაგვრის გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია სოციალიზმის არსებობა ჩაგრული ერების განთავისუფლების გარეშე" (გვ. 20-21).

ეს გენიალური აზრი დადასტურებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მთელი გამოცდილებით. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირში მოისპო კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად სსრ კავშირში შეიქმნა ისეთი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელმაც კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრა არ იცის.

როგორც ცნობილია, 1921 წელს თეზისებში რკპ (ბ) X ყრილობისათვის და სტატიაში „ნაციონალური საკითხის დაყენებისათვის" ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა ეროვნებათა ფაქტიური გათანასწორების მიღწევის პრობლემა. ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისში საკმარისი იყო ხალხთა გამოყოფის უფლებების დეკლარაცია. 1918 და 1920 წლებში, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, ვაწარმოებდით რუსეთის ადმინისტრაციულ გადაყოფას ნაციონალური ნიშნის მიხედვით და ამით ვუახლოებდით განაპირა ქვეყნების მშრომელ ხალხებს რუსეთის პროლეტარიატს. ახლა, როცა საკითხს ვსვამთ წმინდა პრაქტიკულ ნიადაგზე, საჭიროა ვიბრძოლოთ იმისათვის, რათა აღმოვფხვრათ მემკვიდრეობით მიღებული ფაქტიური უთანასწორობა ერთა შორის.

ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო სსრ კავშირის ყველა ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების ისტორიაში

მივაღწიოთ მოწყობილობათა შეუფერხებელ მუშაობას ფეხსაცმლის მრეწველობაში

სტალინური პრემიის ლაურეატის ალექსანდრე ჩუტკიხის შესანიშნავი თაოსნობის შემდეგ ახალი პატრიოტული სქმე წამოიწყეს დიდი ივანოვოს მანუფაქტურის ცვლის ოსტატმა ნ. იარიგინმა და მოსკოვის მეხუთე სამკერვალო ფაბრიკის მექანიკოსმა ე. სედოვამ. პირველი გახდა ინიციატორი სამრეწველო მოწყობილობის ნაყოფიერების გაზრდისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა, ხოლო მეორემ საფუძველი ჩაუყარა სამრეწველო მოწყობილობის მოუცდენლად მუშაობისათვის საერთო-სახალხო მოძრაობას.

იარიგინასა და სედოვას ამ თაოსნობამ მხარდაჭერა ჰპოვა ჩვენი მრეწველობის ყველა დარგის და მათ შორის ფეხსაცმლის საკერავ საწარმოებში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი ქვეყნის ფეხსაცმლის მთავარ ფაბრიკებში ჩატარდა სამრეწველო მოწყობილობათა გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერება, დათვალიერების მიზანი იყო სამრეწველო მოწყობილობის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნედლეულის ეკონომიის შიდასაწარმოო შესაძლებლობათა გამოვლინება. საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების განსახილველად და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებისათვის სსრ კავშირის ოთხ სამრეწველო ცენტრში — მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკსა და თბილისში მოწვეული იყო ფეხსაცმლის ფაბრიკების წარმომადგენელთა ჯგუფობრივი თათბირები.

თბილისში ჯგუფობრივ თათბირში მონაწილეობა მიიღეს დონის როსტოვის მიქოიანის სახელობის, ერევნის მესამე, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკების წარმომადგენლებმა, აგრეთვე თბილისის ფეხსაცმლის პირველი და მეორე ფაბრიკების, ტყავის მეორე ქარხნის ხელმძღვანელმა მუშაკებმა და ოსტატებმა.

თათბირმა მოისმინა თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარი ინჟინრის გ. კიკნაძის მოხსენება ფაბრიკაში სამრეწველო მოწყობილობის გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ და ამავე ფაბრიკის ცხელი ვულკანიზაციის საამქროს მექანიკოსის ს. კორდაკოვის თანამოხსენება სამრეწველო მოწყობილობის მოუცდენლად მუშაობის გამოცდილების შესახებ.

სამრეწველო მოწყობილობის საზოგადოებრივმა დათვალიერებამ, მომხსენებლის გადმოცემით, ფაბრიკაში გამოავლინა უდიდესი საწარმოო რესურსები. დათვალიერებული ბრიგადების მიერ შემოტანილ წინადადებათა და შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად გადიდდეს ფაბრიკის სამრეწველო სიმძლავრე, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, ამაღლდეს წარმოების კულტურა, დაზოგილ იქნას ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია.

საზოგადოებრივმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ ფაბრიკის ლაბორატორიაში საჭიროებისამებრ არ ხორციელდება კონტროლი დასამუშავებლად მიღებული მასალებისა და ნახევარფაბრიკატის ხარისხისადმი, ირღვევა ტექნოლოგიური რეჟიმი და სუსტია საოპერაციათაშორისო კონტროლი. ამის გამო, კონვეიერის ფინიშზე ზოგჯერ თავს იყრის ისეთი ფეხსაცმლის დიდი რაოდენობა, რომელიც ხელახლა გადამუშავებას საჭიროებს. მაგალითად, მაისში მეოთხე საკერავ ნაკადში დამზადებული 50.771 წყვილი ფეხსაცმლიდან 33.609 წყვილი წუნდებული აღმოჩნდა და უკანვე დაბრუნეს ხელახლა გადასამუშავებლად. საამქროებში კონვეიერთა რიტმულ მუშაობას აფერხებს სათადარიგო ნაწილების სიმცირე და ცალკეულ მანქანა-დანადგართა ტექნიკური გაუმართაობა.

ამავე დროს ის ფაქტი, რომ ცალკეულმა სტახანოველებმა მოწყობილობის მზრუნველი მოვლით და ტექნიკურად გამართული მუშაობით მიაღწიეს მანქანების სიმძლავრის მნიშვნელოვან გადიდებას, რომ ცალკეული საკერავი მანქანები „რეგულიციონის“ ტიპისა ნორმით გათვალისწინებული 1.500 საფეხსაცმელე დეტალის ნაცვლად ცვლაში ამზადებენ 2.500-2.800-ს, ხოლო „დოპელის“ მანქანა 500-ის ნაცვლად 700 წყვილ ფეხსაცმელს, ადასტურებს, რომ ფაბრიკაში არსებობს მოწყობილობის ნაყოფიერების გაზრდის დიდი ძესაძლებლობა.

მოწყობილობის მოუცდენლად და მაღალნაყოფიერად მუშაობისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ შედეგს მიაღწია ფაბრიკის ახალმა, ცხელი ვულკანიზაციის საამქრომ. აქ სამნახევარი თვის განმავლობაში მოწყობილობის ტექნიკური მიზეზით მოცდენის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

დონის როსტოვის მიქოიანის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა მ. ალექსანიანმა და საამქროს უფროსმა გ. კლიუევმა თათბირს მოუთხრეს იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან როსტოველი მეფეხსაცმელენი საწარმოო მოწყობილობის მოუცდენელი და მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარმა მექანიკოსმა ი. ფლემერმა, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა ვ. დროზდოვმა და საგამომჭრელო საამქროს უფროსმა ი. მატინოვმა, თბილისის ფეხსაცმლის პირველი და მეორე ფაბრიკების მთავარმა მექანიკოსებმა მ. მიკირტუმოვმა და პ. გაიდუკევიჩმა.

გამოცდილების ურთიერთ გაზიარების საფუძველზე თათბირმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი საწარმოო მოწყობილობის მოუცდენლად მუშაობისა და ნაყოფიერების გაზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნედლეულის ეკონომიისათვის ენერგიული ბრძოლის გასაჩაღებლად.

ადგილობრივი გაზეთების უურცლებზე

საკოლმეურნეო წიგნის მაღაზია

ტამბოვის ოლქის კირსანოვის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეებმა ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ ააგეს საკოლმეურნეო წიგნის მაღაზია და შექმნეს საკმაო რაოდენობის წიგნის ფონდი.

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ დაადგინა ტამბოველ კოლმეურნეთა მაგალითის მიხედვით აგებულ იქნას საკოლმეურნეო წიგნის მაღაზია.

წერილში, რომელიც გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ ოქუმელ კოლმეურნეთა ხელმოწერით 6 ივლისის ნომერში გამოაქვეყნა, ნათქვამია:

„ჩვენს კოლმეურნეებს სურთ შეიძინონ ლენინისა და სტალინის თხზულებანი, ბელადების ბიოგრაფიები, წიგნები საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების შესახებ, რუსული და ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები, შრომები საკოლმეურნეო ნოვატორთა გამოცდილების შესახებ და სხვ. ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს მიბაძონ ტამბოველ კოლმეურნეთა მაგალითს.

უახლოეს დროში ჩვენთან, ოქუმის კოლმეურნეობაშიც, იქნება წიგნის მაღაზია. ჩვენ ავაგებთ მას სოფლის ცენტრში და უზრუნველვყოფთ საჭირო ინვენტარით და წიგნებით“.

მოწინავეთა შორის გამარჯვებულნი

თბილისის საორთქლმავლო დეპოში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში ურთიერთდახმარების განსახორციელებლად მიმდინარე წლის აპრილში შეიქმნა ორი საორთქლმავლო კოლონა. თვითეულ კოლონაში ხუთი ორთქლმავალია. კოლონებს ხელმძღვანელობენ ცნობილი მემანქანეები ნ. ყიფიანი და ნ. გვენეტაძე. თვითეული საორთქლმავლო კოლონის ხელმძღვანელი, ამ კოლონაში შემავალი ყველა ლოკომოტივის მემანქანე და მისი თანაშემწე თავდადებით იბრძვის საუკეთესო მაჩვენებლების მოსაპოვებლად და ამასთან მუდამ მზად არის საჭირო შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მეზობელს. ამ კოლონების მუშაობასა და მათს შრომით წარმატებას ეხება გაზეთი „ბოლშევისტსკაია პუტიოვკა“ და წერს:

„დეკადისა და თვის ბოლოს, როცა სოციალისტური შეჯიბრების დაფაზე გამოაკრავენ ორივე კოლონის საწარმოო მაჩვენებლებს, დეპოს კანტორის წინ ვიწრო გასასვლელში ფუტკარივით ირევა ხალხი, გამვლელი მეორთქლმავლეები დაფაზე კითხულობენ გვარებს, ციფრებს, აკეთებენ შენიშვნებს და შემდეგ მიდიან, სხვებს უთმობენ ადგილს. კოლონებს შორის შეჯიბრების მსვლელობას სიყვარულით ადევნებს თვალს დეპოს მთელი კოლექტივი.

აი, დაფაზე გამოკრულია ამ კოლონების მუშაობის შედეგები მაისსა და ივნისში... გაიმარჯვა ნ. გვენეტაძის კოლონამ. ძირითადი მაჩვენებლის — სათბობის ეკონომიის ვალდებულება ამ კოლონამ მაისში 2,7 პროცენტის გადაჭარბებით გაასაღდა, ხოლო ივნისში სამჯერ მეტი სათბობი დაზოგა, ვიდრე ნ. ყიფიანის კოლონამ. ლოკომოტივის ხუთი მემანქანედან გაბრწყინებულ კოლონაში სამმა—შ. კალმახელიძემ, ს. ელოშვილმა და ვ. გოზალეთვა—ნაკისრი ვალდებულება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს და საგრძნობი რაოდენობით დაზოგეს სათბობი“.

საბჭოთა მშენებლობა

მოწინავე საუბნო კომიტეტი და მისი აქტივისტები

ქალაქ ქუთაისში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება № 60 საუბნო კომიტეტი, რომელიც მოსახლეობასთან მასობრივ - ორგანიზაციული მუშაობის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენს. ამ უბანში შემავალ წერეთლის, ბაქოს, სადგურის, მიასნიკოვის, ათარბეგოვის ქუჩებს უჭირავს იმ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც წარსულში „ბალახვანის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

ქალაქის ინდუსტრიულ განვითარებასთან ერთად, ამ კუთხემაც იცვალა სახე. სამიკიტნოების ნაცვლად აიგო აბრეშუმკომბინატის მუშათა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ადგილობრივი მრეწველობის ქმიური ქარხანა, საშუალო სკოლა და სხვ.

უბნის კეთილმოწყობის სამუშაოები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ამ საქმეში საუბნო კომიტეტი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებს. მისი თაოსნობით არაერთი ქუჩა და შესახვევი, რომლებიც დაზიანებული იყო, მოკლე ხანში წესრიგზე იქნა მოყვანილი. მაგალითად, ბაქოს ქუჩაზე წინათ წვიმიან ამინდში გავლაც არ შეიძლებოდა. უბნის კომიტეტმა ქუჩის წესრიგზე მოყვანის საკითხი დააყენა ქალაქის საბჭოში და ამასთან ერთად, მოაწყო რა მშრომელთა მასობრივი კვირაობები, სერიოზულად შეაკეთა იგი. უბნის კომიტეტმა ითავა ამ ქუჩაზე წყალგაყვანილობის საქმეც. უბნის მშრომელთა აქტიური მონაწილეობით გაყვანილ იქნა 75 მეტრი წყალსადენი მილი და მოეწყო ონკანი.

უბნის მრავალი ქუჩა და შესახვევი, სადაც კანალიზაცია არ იყო, ახლა ამ მხრივ უზრუნველყოფილია. მოსახლეობამ ორგანიზებულად იმუშავა და საკუთარი ძალებით გაიყვანა 100 მეტრამდე საკანალიზაციო ხაზი.

ასეთი მაგალითები მრავალია.

საუბნო კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს თავის ტერიტორიაზე არჩეულ საქალაქო საბჭოს დეპუტატებთან და მათთან ერთად მთელ რიგ საყარგველო ღონისძიებებს ატარებს. მაგალითად, დეპუტატ გიორგი მუსერიძის დახმარებით სადგურის ქუჩაზე დაირგო 200 ძირი მცენარე.

საუბნო კომიტეტის მუშაობა მოსახლეობაში მრავალმხრივია. უბანში სეზონზეა, ამიტომ ბოლო ორი-სამი კვირეულის განმავლობაში ბაზარი ცარიელია. ამ ფაქტზე ბაზრის ადმინისტრაციამ ყურადღება ვერ მიაქცია. ამ საკითხზე ბაზარში ერთ-ერთ ადგილზე

მუშაობა შეწყვიტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიამ

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის უმრავლესობამ, შეერთებული შტატების წარმომადგენლის მეთაურობით, მიიღო გადაწყვეტილება კომისიის მუშაობის განუსაზღვრელი დროით შეწყვეტის შესახებ.

სხდომის დასაწყისში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ს. კ. ცარაპკინი მტკიცედ მოითხოვდა დეტალურად განეხილათ 1949 წლის 25 თებერვლის საბჭოთა წინადადება იმის შესახებ, რომ შემუშავდეს და ერთდროულად მიღებულ იქნას ორი კონვენცია: ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის შესახებ. საბჭოთა დელეგატი შეჩერდა ამ წინადადების ცალკეულ პუნქტებზე და ცხადყო, რომ ისინი სავსებით შეესაბამებიან გენერალური ასამბლეის 1946 წლის 24 იანვრისა და 14 დეკემბრის რეზოლუციების მოთხოვნებს და მიმართული არიან მათი განხორციელებისაკენ.

მაგრამ კომისიის წევრებმა, რომლებიც ერთგულად მისდევენ საბოტაჟისა და მიჩქმალვის თავიანთ პოლიტიკას, არ გამოიჩინეს საბჭოთა წინადადებების განხილვის სურვილი, და თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა გადასულიყვნენ მათ კენჭისყრაზე.

შემდეგ გამოვიდა ამხ. მანუილსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ მხოლოდ საბჭოთა წინადადებების ბაზაზეა შესაძლებელი ამ საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა. მან განაცხადა, რომ თუ დავუჯერებთ ამერიკის დელეგატის მიერ კომისიის წინა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ამერიკული გეგმა არ ითვალისწინებს კონტროლის შემოღების „სტადიას", არამედ ითვალისწინებს ერთდროულად ატომური იარაღის აკრძალვას და ატომის ენერგიისადმი კონტროლის შემოღებას, საბჭოთა წინადადებასა და ამერიკის დელეგაციის პოზიციას შორის არავითარი განსხვავება არ არის.

მაშასადამე, ამერიკის დელეგაციას საფუძველი არა აქვს გაილაშქროს საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით მანუილსკიმ აღნიშნა, რომ ამერიკის დელეგატის დუმილი და ის გარემოება, რომ მას არ სურს განმარტოს თავისი პოზიცია, მოწმობს მის განზრახვას — აბნიოს საკითხი და მოატყუოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ამერიკის დელეგატი ლიტონ ფრაზებს ეფარება, ცდილობს თავი აარიდოს ნათელ პასუხს საკითხზე და თავისი პოზიციის განმარტებას.

ამის შემდეგ საფრანგეთის, კანადისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა წინადადება წამოაყენეს გადასულიყვნენ საბჭოთა წინადადებებისათვის კენჭისყრაზე. ამის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია საბჭოთა წინადადებებისათვის კენჭისყრისა, სანამ მათი დაწვრილებით განხილვა არ მოხდება, და აღნიშნა, რომ თუ კომისიის წევრები მზად არ არიან განიხილონ ეს წინადადებანი, იგი დაჟინებით არ მოითხოვს მათთვის დაუყოვნებლივ კენჭისყრას.

ამრიგად, 1949 წლის 25 თებერვლის საბჭოთა რეზოლუციის პროექტს კენჭი არ უყარეს.

შემდეგ კანადის წარმომადგენელმა მაკნოტონმა წინადადება წამოაყენა მოეწონებინათ მუშა კომიტეტში წინათ მიღებული რეზოლუციის პროექტი საბჭოთა წინადადების შემდგომ განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

ამ წინადადებასთან დაკავშირებით გამოვიდა მანუილსკი. მან მოაგონა სხდომას, რომ 3 წელიწადზე მეტი ხნის წინათ „ატომის ენერგიისადმი კონტროლის" ყბადაღებული გეგმით, რომელიც ახლა ცნობილია ამერიკის გეგმის სახელწოდებით, გამოვიდა ბარუხი, უმსხვილეს მონოპოლიებთან დაკავშირებული ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენელი. ბარუხის გეგმა, თქვა მანუილსკიმ, ითვალისწინებდა ატომის ენერგიის წარმოების, ყველა საწარმოს, ნედლეულის ყველა წყაროს, ნედლეულის მთელი მარაგის, ამ ნედლეულის გადასამუშავებლად მომუშავე ყველა დანადგარის გადაცემას ერთიანი მონოპოლიური ზეტრესტისათვის, რომელიც მთლიანად ამერიკის კონტროლქვეშ იქნებოდა და სახელმწიფოებს ზევით, მთავრობებს ზევით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზევით იდგომებოდა. ბარუხის გეგმა წარმოადგენდა ამერიკელი მონოპოლისტების იმ მისწრაფების გამოხატულებას, რომ თავიანთი ბატონობა დაამყარონ მსოფლიოზე.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც ცდილობს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის მიაღწიოს ატომური იარაღის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვას, ატომის ენერგიის წარმოებისადმი კონტროლის დაწესებას და მისი მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენებას, ვერ მიიღებდა ბარუხის გეგმას. ატომური ომის ფაქტიური მომზადების ამ ამერიკულ გეგმას, რასაც ფარავდნენ ზოგადი მსჯელობით ატომის ენერგიის წარმოებისადმი კონტროლის შესახებ, სსრ კავშირის მთავრობამ დაუპირდაპირა თავისი საქმიანი წინადადებანი კონვენციების ორი პროექტის სახით — ერთია 1946 წლის 19 ივნისისა—ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და მეორე—1947 წლის 11 ივნისისა—ატომის ენერგიის წარმოებისადმი ნამდვილი კონტროლის დაწესების შესახებ. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს აგრეთვე საერთაშორისო ინსპექციის გულდასმით შემუშავებულ სისტემას და განსაზღვრავს საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს ფუნქციებსა და კომპეტენციას.

შეერთებული შტატების დელეგაცია შეეცადა ამ ახალ, კონკრეტულ, მილიონობით ადამიანისათვის გასაგებ წინადადებათა განხორციელებისათვის წინააღმდეგობა გაეწია კაზუისტური დავით იმის შესახებ, რომ კონტროლი შემოღებულ უნდა იქნას ატომური იარაღის აკრძალვამდე. შეერთებული შტატების დელეგაცია წინადადებას იძლეოდა დაწესებულიყო კონტროლი იმისადმი, რაც ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამავე დროს შეერთებული შტატების დელეგაციას არ სურდა ატომური იარაღის, ე. ი. კონტროლის ობიექტის, აკრძალვა და ყოველნაირად ცდილობდა ჩაეშალა იგი.

ამ არასაკადრისი თამაშისათვის ბოლო რომ მოეღო, საბჭოთა მთავრობამ გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე წინადადება წამოაყენა ერთდროულად შემოეღოთ ორივე კონვენცია. მაგრამ შეერთებული შტატების დელეგაციამ ეს წინადადებაც უარყო, რითაც გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი ზრახვები, რომლებსაც სახელმწიფოთა ნაციონალური შეიარაღებიდან ატომური იარაღის გამორიცხვასთან საერთო არა აქვთ რა.

რაკი შეერთებული შტატების დელეგაცია, განაგრძო მანუილსკიმ, დარწმუნდა, რომ იგი თავს ვერ მოგვახვევდა ბარუხის გეგმას, რომ საბჭოთა წინადადებანი ამერიკის დელეგაციას უფრო და უფრო საძნელო მდგომარეობაში აყენებდნენ, რომ მარტო სიტყვიერი ჯამბაზობის საშუალებით იგი თავს ვერ აარიდებდა ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს, შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელიც ცდილობს მიაღწიოს ატომური იარაღის შეუფერხებელ და უკონტროლო წარმოებას, აიღო ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის ლიკვიდაციის კურსი.

ამ კურსს შეერთებული შტატების დელეგაცია ორნაირად ატარებდა: ჯერ-ერთი, საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილ ყველა იმ პრაქტიკულ წინადადებათა საბოტაჟის გზით, რომლებიც მიმართულია ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესებისაკენ. იგი ხელოვნურად აზვიადებდა უთანხმოებას და დაჟინებით არღვევდა შეთანხმების ყოველგვარ შესაძლებლობას იმ შემთხვევებში, როცა სსრ კავშირის დელეგაციასა და კომისიის უმრავლესობას შორის თვალსაზრისთა დაახლოება დაისახებოდა. ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მუშაობის ჩაშლის მეორე ხერხი იყო ამერიკის დელეგაციის აშკარა წინადადებანი კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

ჯერ კიდევ 1947 წელს, მოაგონა მანუილსკიმ სხდომას, შეერთებული შტატების მაშინდელი სახელმწიფო მდივანი მარშალი იმუქრებოდა, რომ თუ უმცირესობამ უმრავლესობის თვალსაზრისი არ მიიღო, ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისია მუშაობას შეწყვეტსო. და მართლაც, მას შემდეგ უამრავი წინადადება შემოჰქონდათ კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ. ეს წინადადებანი შემოჰქონდათ უშიშროების საბჭოშიც, გენერალურ ასამბლეაზეც, მაგრამ გენერალური ასამბლეის უმრავლესობა ამას არ დაეთანხმა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიას წინადადება მისცა მუშაობა განეახლებინა.

ამას შემდეგ ამერიკის დელეგაციის თანამოაზრეებმა კომისიაში კანადის დელეგაციის სახით სცადეს შეეკვეცათ კომისიის მუშაობა, განესაზღვრათ მისი საქმიანობა კომისიის უმრავლესობისა და უმცირესობის თვალსაზრისთა შესახებ სრულიად ზედმეტი ნაკრები ანგარიშების შედგენით, რითაც არსებითად და ფორმალურად გამეორებული იყო ყოველივე ის, რაც უკვე დაბეჭდილი იყო კომისიის სამ მოხსენებაში. გრძნობდა რა ამ პოზიციის მერყეობას, კომისიის ნაწილმა, კუბისა და არგენტინის დელეგაციების სახით, გენერალური ასამბლეის 1948 წლის 4 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად, წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მუდმივ წევრ 6 სახელმწიფოს კონსულტაცია მოეწყო შეთანხმების მიღწევის მიზნით.

მაშინ ამერიკის დელეგაციამ გადაწყვიტა ჯოკერ ემოქმედნა და ამა წლის 20 ივლისის სხდომაზე კვლავ გამოვიდა წინადადებით ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ. ასაბუთებდა რა ამ წინადადებას, ოსბორნი გამოვიდა სიტყვით, რომელსაც საქმეში ახალი არაფერი შეუტანია არევ-დარევის მეტი.

მანუილსკი დაწვრილებით შეჩერდა ოსბორნის ამ გამოსვლაზე და ცხადყო, რომ იგი წარმოადგენს სიტყვებით ჯამბაზობის ნიმუშს, რომლის ერთადერთი დანიშნულება ის არის, რომ აბნიოს გარკვეული საკითხი და გასაგებად არაფერი თქვას. უკრაინის სსრ დელეგაცია, განაცხადა მანუილსკიმ, გადაჭრით ილაშქრებს ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მუშაობის შეწყვეტის წინააღმდეგ. უკრაინის სსრ დელეგაცია მხარს უჭერს საბჭოთა დელეგაციის მიერ 1949 წლის 25 თებერვალს შეტანილ რეზოლუციის პროექტს. იგი მხარს უჭერს ამ რეზოლუციას, იმიტომ რომ მასში დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას აძლევენ კომისიას გადაჭრას მის წინაშე გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებით დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, იმიტომ რომ ეს რეზოლუცია ეთანხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ემსახურება მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საქმის განმტკიცებას.

უკრაინის სსრ დელეგატის სიტყვის შემდეგ გამოსვლის მსურველი არავინ აღმოჩნდა, და კომისია გადავიდა რეზოლუციის იმ პროექტისათვის კენჭისყრაზე, რომელიც მუშა კომიტეტმა 1949 წლის 15 ივლისს მიიღო საბჭოთა წინადადების შემდგომ განხილვაზე უარის თქმის შესახებ. რეზოლუცია მიღებულ იქნა 7 ხმით ორის წინააღმდეგ (სსრ კავშირი და უკრაინის სსრ). ორმა (არგენტინამ და ეგვიპტემ) თავი შეიკავა.

შემდეგ კომისია შეუდგა კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციის ამერიკული პროექტის განხილვას. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ცარაპკინმა აღნიშნა, რომ გასულ წელს ატომის ენერგიის კონტროლის კომისიას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ თავის მუშაობაში. მან მოაგონა სხდომას, რომ გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზეც პარიზში და ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის სხდომებზეც მთელი რიგი დელეგატები მხარს უჭერდნენ, რომ კომისიას მუშაობა განეგრძო და უაღრესად სერიოზულად განეხილა კომისიაში გაკეთებული ყველა წინადადება.

მას შემდეგ, რაც ამგვარი აზრები გამოითქვა გენერალურ ასამბლეაზე და ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიაში, ამ უკანასკნელს თითქოს სერიოზულად უნდა შეესწავლა როგორც არსებული, ისე ახლად შეტანილი წინადადებანი. მაგრამ ეს არ მოხდა. ეს არ მოხდა იმიტომ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოებში ატომის ენერგიის პრობლემის განხილვის მსვლელობაში თავი იჩინა ორმა მიდგომამ ამ პრობლემის გადაწყვეტისადმი. საბჭოთა კავშირის მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ხალხთა ინტერესებისათვის მოქმედებით, დაუყოვნებლივ და გადაუდებლად აიკრძალოს ატომის ენერგიის გამოყენება სამხედრო მიზნებით, მოისპოს ატომური იარაღის არსებული მარაგი, შეწყდეს აგრესიის იარაღის—ატომური ბომბის წარმოება და დაწესდეს სასტიკი საერთაშორისო კონტროლი ატომის ენერგიისადმი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სასარგებლოდ. ამ მიზნით საბჭოთა კავშირმა შეიტანა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი ატომური იარაღის აკრძალვისა და ამასთან დაკავშირებით ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ. შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ მის მომხრეებს სურთ შექმნან შეერთებული შტატების კონტროლქვეშ მყოფი მსოფლიო ატომური ზეტრესტი, რომლის ხელშიც იქნება მთელი მსოფლიოს ყველა ატომური საწარმო და ურანისა და თორიუმის მადნის მთელი მსოფლიო მარაგი.

პასუხისმგებელ პირთა — მთავრობის წევრთა და სხვა ოფიციალურ და არაოფიციალურ წარმომადგენელთა მრავალი განცხადებიდან, ამერიკულ გაზეთებსა და ჟურნალებში მოთავსებული მრავალი სტატიიდან ნათლად ჩანს, რომ შეერთებული შტატები თავიანთ პოლიტიკურ და სამხედრო ვარაუდებს ადგენენ ატომური იარაღის გამოყენების საფუძველზე. ამის შესახებ ყველანი გულახდილად ლაპარაკობენ და წერენ შეერთებულ შტატებში და მათ გარეთ. ამას არავინ უარყოფს.

სწორედ ამ ფაქტების მიხედვით უნდა განვიხილოთ ატომის ენერგიისადმი კონტროლის ამერიკული გეგმა. იგი შედგენილია სპეციალურად იმ ვარაუდით, რომ უარყოფილ იქნას, როგორც აბსოლუტურად მიუღებელი სხვა სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც განზრახული არა აქვთ უცხოეთის კონტროლს დაუქვემდებარონ თავიანთი ეკონომიკა და რომლებიც არ აპირებენ შეერთებული შტატების სამებლად შეცვალონ თავიანთი კონსტიტუცია, რათა შეერთებული შტატების კონტროლქვეშ მყოფ საერთაშორისო ორგანოს საკუთრებად გადასცენ თავიანთი მრეწველობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი დარგები, ელექტროძალოვანი დანადგარები და სხვ.

ცარაპკინმა აღნიშნა, რომ ამერიკის გეგმა ნავარაუდევი არ იყო შეთანხმების მიღწევისათვის, და ამის გამო კომისია უძლური აღმოჩნდა მიეღწია დადებითი შედეგებისათვის. ასეთი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ შეერთებულ შტატებს.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, განაგრძო საბჭოთა წარმომადგენელმა, რომ ამერიკის გეგმა შედგენილია არა ატომური იარაღის აკრძალვისა და ნაციონალური შეიარაღებიდან მისი გამორიცხვის ვარაუდით, არამედ სწორედ პირიქით, იმ ვარაუდით, რომ ეს აგრესიული იარაღი გამოყენებულ იქნას მომავალ ომში და ატომური ბომბი შენარჩუნებულ იქნას შეიარაღებაში.

აი ამ საქმის ნამდვილი სურათი. იგი გვიხსნის, თუ რატომ შეიქმნა ჩიხი კომისიაში და ვის მიუძღვის ამაში ბრალი. ცარაპკინმა მოაგონა სხდომას ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მუშაობის ისტორია და აღნიშნა, რომ შეერთებული შტატებისა და მათი მომხრე ქვეყნების დელეგაციები ცდილობენ რაც შეიძლება მალე მოუღონ ბოლო მის არსებობას, გაყინონ იგი და აიძულონ შეწყვიტოს საქმიანობა.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია ფიქრობს, აღნიშნა ცარაპკინმა, რომ კომისიისათვის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა მუშა კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის უარყოფა და დაუყოვნებლივ მომზადება ორი კონვენციის პროექტისა: კონვენციისა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და კონვენციისა ატომის ენერგიისადმი სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, იმ დებულებაზე დაყრდნობით, რომ ორივე კონვენცია ხელმოწერილ უნდა იქნას და ძალაში შევიდეს ერთდროულად, როგორც ეს გათვალისწინებულია ა. წ. 25 თებერვლის საბჭოთა რეზოლუციის პროექტით.

საბჭოთა წარმომადგენლის ამ წინადადებას მხარი დაუჭირა უკრაინის სსრ წარმომადგენელმა. მაგრამ კომისიის უმრავლესობამ მიიღო რეზოლუციის ამერიკული პროექტი და ამით განუსაზღვრელი დროით შეწყვიტა კომისიის მუშაობა.

ამერიკა ზეგავლენას ახდენს დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა ევროპაში ჩასვლის მიზნები

პარიზი, 1 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მაინის ფრანკფურტიდან იუწყება, რომ დღეს იქ შედგა ამერიკის არმიის სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბების უფროსთა გენერლების ბრედლის, ვანდენბერგისა და ადმირალ დენფელდის თათბირი, ლუქსემბურგისა და იტალიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებთან ერთად.

მოლაპარაკებას დიდად საიდუმლოდ იცავენ.

ბრედლი, ვანდენბერგი და დენფელდი ახლა ლონდონს გაემგზავრებიან, რათა შეხვდნენ ნორვეგიისა და დანიის არმიების შტაბების უფროსებს, რის შემდეგ 4 აგვისტოს გამოემართებიან პარიზს დასავლეთის სამხედრო ბლოკის მთავარსარდალთა ეგრეთ წოდებული კომიტეტის თავმჯდომარე მონტგომერისა და საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის არმიების შტაბების უფროსებთან მოსალაპარაკებლად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების წინ ამერიკელი გენერლები ვენაში ჩავლენ.

პარიზი, 1 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მაინის ფრანკფურტიდან გადმოგვცემს:

ამერიკის არმიის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსმა ადმირალმა დენფელდმა განაცხადა, რომ ლუქსემბურგისა და იტალიის წარმომადგენლებთან ატლანტიკის პაქტთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხებზე მოლაპარაკების დროს ამერიკის შტაბების უფროსებმა „სრულ ურთიერთგაგებას" მიაღწიეს.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, იტალიის წარმომადგენლებთან დღევანდელი თათბირი, „როგორც ფიქრობენ, პირველი იყო ომის დამთავრების შემდეგ, რომელზეც ამერიკელმა სამხედრო ლიდერებმა ღრმად განიხილეს მომავალი სამხედრო თანამშრომლობის საკითხები".

როგორც იუწყებიან, შეერთებულ შტატებში დაბრუნების წინ გენერლები შეხვდებიან ატლანტიკის პაქტის მონაწილე 12 ქვეყნიდან 9 ქვეყნის წარმომადგენლებს.

ლონდონი, 1 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის გაზეთები კვლავ უკეთებენ კომენტარს ამერიკელი გენერლების ჯგუფის ევროპაში ჩამოსვლას. პრესის ცნობების მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ლიდერთა გამგზავრების მიზანია დაუმორჩილონ დასავლეთ ევროპის ქვეყნები ამერიკის სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ატლანტიკის ხელშეკრულების შესაბამისად მუშავდება.

გაზეთი „სანდი ექსპრესი" სარედაქციო სტატიაში შეშფოთებას გამოთქვამს იმ წინადადებათა გამო, რომელთა შეტანას აპირებენ ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელები. სხვა გაზეთებსაც ეტყობათ შეშფოთების ნიშნები, თუმცა არც ისე აშკარად გამოხატავენ ამას. „სანდი ექსპრესის" აზრით, ამერიკის სამხედრო გეგმების რეალიზაციას ინგლისისა და ინგლისელთათვის შეიძლება მოჰყვეს „საშინელი, თუ არა დამღუპველი" შედეგები.

„ომები,—განაგრძობს გაზეთი,—გარდუვალი არ არის. შეიძლება ომს თავი დავაღწიოთ, თუ ადამიანები უკუაგდებენ ამ მცდარ იდეას (ე. ი. ომის გარდუვალობის იდეას—რედაქციის შენიშვნა). მშვიდობის შენარჩუნება შეიძლება".

„ობსერვერის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი ეხება ფინანსურ ზეგავლენას, რომელსაც ამერიკელი სამხედრო ხელმძღვანელები ინგლისსა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებზე მოახდენენ და წერს, რომ თუ ისინი ათი დღის შემდეგ ვერ იტყვიან, რომ ეს ქვეყნები თანახმანი არიან დაემორჩილონ მოქმედების „კოორდინაციის" ამერიკულ გეგმებს, საეჭვოა, რომ დამტკიცებულ იქნას 1.450 მილიონი დოლარის ოდენობით „სამხედრო დახმარების" ამერიკული პროგრამა.

ევროპაში გამომგზავრებულმა ამერიკელმა გენერლებმა, წერს გაზეთ „ობსერვერის" კორესპონდენტი, „დავალება მიიღეს მითითებანი ამის შესახებ ინგლისის, საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის სხვა სამხედრო ხელმძღვანელებისათვის, ამასთან ყოვლად კატეგორიული ფორმით.

ამერიკის ელჩს ლონდონში დუგლასს დავალებული აქვს გააფრთხილოს ინგლისის მთავრობა, რომ საჭიროა ევროპის სტრატეგიული გეგმების რეალური კოორდინაციის კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთები. ალბათ, ანალოგიური გაფრთხილება მიეცემათ ატლანტიკის პაქტის ხელმომწერი ყველა სხვა ქვეყნების მთავრობებს".

„ობსერვერის" მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ავიაციის მთავარი მარშალი ჯონ სლესორი, რომლის ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსად მომავალი დანიშვნა ეს-ეს არის გამოცხადდა, უკმაყოფილებას გამოთქვამს ამერიკის იმ გეგმების გამო, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების როლი განისაზღვროს საზარბაზნე ხორცის მიმწოდებლის როლით.

ამასთან დაკავშირებით, მიმომხილველი ირონიით მოიხსენიებს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ვანდენბერგის ნიჰს. იგი გესლიანად შენიშნავს, რომ ვანდენბერგმა უესტ-პოინტის სამხედრო აკადემია დაამთავრა 240-ემ, როცა სულ გამოშვებულ იქნა 261 კაცი, და შემდეგ სარკასტულად წერს:

„იგი სრულიადაც არ ეკუთვნის აკადემიურად მოაზროვნე ადამიანებს. იგი დარდიმანდია და დიდი სამუშაო ხელს არ უშლის ვაშინგტონელ ბანოვანთა ფავორიტი იყოს, რომელთა დარბაზობაზე იგი ჰგავს იმ პლაკატზე დახატულ სურათს, რომელიც მოუწოდებს სამხედრო-საჰაერო ძალებში შესვლისაკენ".

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადაკვრით ამბობს, ამერიკის შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის წარმომადგენლები დასავლეთ ევროპაში მათ მიერ მოწყობილ თათბირებზე შესაძლოა განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, რომ გარდა „დასავლეთი კავშირისა" შეიქმნას სკანდინავიის, ხმელთაშუა ზღვისა და დასავლეთ ატლანტიკის ახალი სამხედრო ბლოკები. ყველა ისინი, ამერიკელთა გეგმების მიხედვით, უნდა იყვნენ „ატლანტიკის პაქტის მფარველობაში". ე. ი. სხვანაირად რომ ითქვას, ამერიკის სრულ კონტროლქვეშ.

ბერლინი. 1 აგვისტო. (საკდესი). ადნის სააგენტოს ცნობით, დასავლეთ გერმანიაში ჩასულ ამერიკის სამხედრო შტაბების უფროსებს თათბირი ჰქონდათ დასავლეთ გერმანიის მომავალ „უმაღლეს კომისარ-მაკლოისთან ატლანტიკის პაქტში დასავლეთ გერმანიის შეყვანის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, განხილულ იქნა ვილჰელმსჰაფენის და ემდენის, აგრეთვე ჩრდილოეთი ზღვის სანაპიროს სხვა პუნქტების ამერიკის ფლოტის ბაზებად გადაქცევის შესაძლებლობა. გარდა ამისა, შეეხნენ ამერიკის ახალი აეროდრომების შექმნის საკითხს".

როგორც შემდეგ ადნი აღნიშნავს, დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ ეს თათბირები ნათლად მოწმობენ, თუ რა მიზნისათვის მომზადეს და განახორციელეს ამერიკელებმა გერმანიის გათიშვა და რისთვის იქმნება „დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო", რომელსაც ისინი უწევენ კონტროლს. დასავლეთ გერმანია მათ ახალი ომის მოსამზადებელ პლაცდარმად და ბაზად მიაჩნიათ.



კურორტ საირმეს ახალი გზატკეცილი.
ფოტო რ. აკოფოვისა

ფეხბურთი

თბილისის „სპარტაკის" მეორე გამარჯვება

თბილისის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა კიდევ ორი გამარჯვება ჩაიწერა სსრ კავშირის 1949 წლის პირველობის გათამაშების სატურნირო ცხრილში. თბილისელები თავიანთ მოედანზე შეხვდნენ ერთ-ერთ ძლიერ მეტოქეს — ვილნიუსის „სპარტაკის" გუნდს.

პირველი მატჩი შედგა 31 ივლისს. შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და ისინი ლამაზი, შეწყობილი იერიშებით თანდათან ავიწროებდნენ ვილნიუსელთა დაცვის ხაზს. მე-11 წუთზე ი. ზურჩულაძემ კარგად გამოიყენა ა. პაიჭაძის მიერ „კორნერიდან" ჩაწოდებული ბურთი და გახსნა ანგარიში. 25-ე წუთზე ვ. გვარამაძემ თავური გარტყმით მეორედ შეარხია ვილნიუსელთა კარის ბადე. მეორე ტაიმში თამაშის ტემპი საგრძნობლად შესუსტდა. მოწინააღმდეგეებმა შეძლეს თითო-თითო ბურთის გატანა და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3 : 1 თბილისელთა სასარგებლოდ.

აღნიშნული გუნდები 2 აგვისტოს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. მეორე მატჩი კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა. ანგარიში გახსნეს ვილნიუსელებმა. პირველი ტაიმის ბოლო წუთებში ი. ლომაიამ საპასუხო ბურთი გაიტანა სტუმრების კარში. მატჩის მეორე ნახევარში თბილისელები ენერგიის მთელი დაძაბვით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის და მათ ეს მოახერხეს კიდევაც — მე-20 წუთზე გუნდის კაპიტანმა ა. პაიჭაძემ მოხდენილად აუარა გვერდი ვილნიუსელთა ორ მცველს, ჩამოიტოვა ისინი უკან და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა 15 მეტრის მანძილიდან მეორე ბურთი გაიტანა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

თბილისის „სპარტაკის" გუნდმა კვლავ გაიმარჯვა, ანგარიშით 2 : 1. ეს თბილისელთა მე-20 გამარჯვებაა. ახლა მათ უკვე მოგროვილი აქვთ 40 ქულა (40 შესაძლებლიდან). 6 და 8 აგვისტოს თბილისის „სპარტაკის" გუნდი თავის მოედანზე შეხვდება ქუთაისის „დინამოს" გუნდს. აღსანიშნავია, რომ ქუთაისელები დაკარგული ქულების რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე გამოდიან გათამაშებაში. მათ 16 მატჩიდან მოგროვილი აქვთ 25 ქულა.

* * *

დღეს „დინამოს" სტადიონზე შედგება მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „სპარტაკის" და თბილისის „დინამოს" გუნდები. თამაში დაიწყება 6 საათზე.

ა. გოგოლაშვილი

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამომცემლობამ გამოსცა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ლევან ასათიანის წიგნი „ალექსანდრე ჭავჭავაძე" ვ. მაჭავარიანის რედაქტორობით. წიგნი ღირს 1 მ. და 50 კ.

ამავე გამომცემლობამ გამოსცა საზოგადოების ნამდვილი წევრის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ესაიაშვილის წიგნი „სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის შესახებ". წიგნის რედაქტორია ლ. გორგილაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მაქს რაიმანის გამოსვლა დორტმუნდში

ბერლინი. 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გუშინ დორტმუნდში შედგა დემონსტრაცია გერმანიის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რურის ოლქის ყველა ნაწილიდან ჩასულმა 100 ათასზე მეტმა მშრომელმა. შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა.

ილაპარაკა რა მომავალ არჩევნებზე (ეგრეთ წოდებული დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს პარლამენტის არჩევნები. — რედაქციის შენიშვნა) დასავლეთ გერმანიაში, რაიმანმა აღნიშნა, რომ გერმანელ ხალხს შეუძლია მხოლოდ ორ ძირითად პოლიტიკურ გეზში მოახდინოს არჩევანი. ერთი გეზია ადენაუერის, შუმახერისა და ბლიუხერის გეზი, გერმანიის გათიშვის და კოლონიურ სახელმწიფოდ დასავლეთ გერმანიის გადაქცევისა და ოკუპაციის დამკვიდრების გეზი. მეორეა ყველა პატიოსანი გერმანელის გეზი, ერთიანი დამოუკიდებელი გერმანიის აშენების, სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისა და ყველა საოკუპაციო ჯარის გაყვანის გეზი..

რაიმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ქრისტიან დემოკრატთა კავშირს შორის ახლანდელმა მოჩვენებითმა „ბრძოლამ" არავინ არ უნდა მოატყუოს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა და „თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ" დასავლეთ სახელმწიფოთა ბრძანებით შექმნეს ანტიდემოკრატიული „ბონის კონსტიტუცია", რომელიც მოწოდებულია დააკანონოს გერმანიის გათიშვა.

დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის სახელით და მილიონობით გერმანელთა სახელით რაიმანმა მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს საწარმოთა დემონტაჟი და შეწყდეს იმ მშრომელთა გასამართლება, რომლებიც უარს ამბობენ თავისი სამუშაო ადგილის დანგრევაზე.

ტრუმენის ანგარიში კონგრესისადმი საბერძნეთისა და თურქეთისათვის ამერიკის „დახმარების" შესახებ

ვაშინგტონი, 1 აგვისტო. (საკდესი). პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესს წარუდგინა ანგარიში საბერძნეთისა და თურქეთისათვის 1949 წლის პირველ კვარტალში ამერიკის „დახმარების" საკითხზე. ტრუმენი, როგორც ეს ანგარიშიდან ჩანს, თუმცა იხსენიებს იმას, რომ „ბერძენი ხალხი მშვიდობისაკენ მიისწრაფვის", დაჟინებით მოითხოვს, სრულებით განადგურებულ იქნან „პარტიზანები", როგორც იგი საბერძნეთის დემოკრატიულ არმიას უწოდებს, და ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად მოჰყავს მტკიცება იმის შესახებ, რომ საბერძნეთს თითქოს „საერთაშორისო კომუნისტური შეთქმულება ემუქრება".

ტრუმენის აზრით, ათენის მთავრობის „პოლიტიკური, ეკონომიური თუ სამხედრო კრახის შესაძლებლობა" ამჟამად „ნაკლებ სარწმუნოა", ვიდრე ოდესმე.

ანგარიში შეიცავს მტკიცებას, რომ „პარტიზანები" თითქოს „დახმარებას" იღებენ ალბანეთიდან და ბულგარეთიდან. აგრეთვე აღნიშნულია, რომ „პარტიზანები" იუგოსლავიის ტერიტორიის გამოყენებას განაგრძობენ. ეს უკანასკნელი მტკიცება მეტად უცნაურად გამოიყურება მას შემდეგ, რაც არსებობს ცნობა, რომ ტიტოელები, ხელმძღვანელობენ რა ინგლისელ და ამერიკელ ოფიცერთა მითითებებით, იუგოსლავიის ტერიტორიაზე ატარებენ მეფის ჯარებს იმისათვის, რომ ამ ჯარებმა შეძლონ ზურგში მოექცნენ საბერძნეთის დემოკრატიულ არმიას.

განყოფილებაში, რომელიც მიძღვნილია თურქეთისათვის სამხედრო დახმარების საკითხისადმი, კვლავ მეორდება ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მტკიცება იმის შესახებ, რომ თურქეთს თითქოს აუცილებლად უნდა „გაეწიოს დახმარება" ვითომდა საბჭოთა კავშირის მხრივ არსებული საფრთხის გამო.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 1949 წლის პირველ კვარტალში შეერთებულმა შტატებმა ტაქტიკის სწავლების კურსი შემოიღეს სამხედრო სკოლებსა და თურქეთის საშტაბო კოლეჯში.

შემდეგ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამერიკის საზღვაო სამინისტრომ მოიწონა თურქეთისათვის წინათ უკვე გადაცემული ორი საესკადრო ნაღმოსნის გარდა ამერიკის კიდევ ორი საესკადრო ნაღმოსნის „ლენსდაუნისა" და „ლარდნერის" გადაცემა.

„ნიუს ქრონიკლი" ინგლისისათვის ატომურ ბომბზე დამატებითი საიდუმლო ინფორმაციის მიწოდებაზე ამერიკის შეერთებული შტატების უარის შესახებ

ლონდონი, 1 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" სარედაქციო სტატიაში შეშფოთებას გამოთქვამს შეერთებული შტატების გადაწყვეტილების გამო,—არ გაამჟღავნონ ატომური ბომბის საიდუმლოებანი. ამასთან დაკავშირებით გაზეთი ეხება ამერიკის არმიის შტაბის უფროსის გენერალ ბრედლის განცხადებას იმის შესახებ, რომ აგრესიულ გეგმებში ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ „წვლილს" სტრატეგიული და ატომური ბომბდამშენი ავიაციით განსაზღვრავენ. „კიდევაც რომ არსებობდეს ურთიერთნდობა საერთო თავდაცვის საკითხებში, ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორ შეძლებდნენ შეერთებული შტატები დაჟინებით მოეთხოვათ ატომური ბომბის საიდუმლოებათა სრული მონოპოლიის შენარჩუნება",—წერს გაზეთი.

1949 წლის 5 აგვისტოს საღამოს 8 საათზე მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ვოროშილოვის სახელობის კლუბში შედგება საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მე-2 პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. საავადმყოფოების და პოლიკლინიკების გაერთიანებასთან დაკავშირებით მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა და ღონისძიებანი მისი გაუმჯობესებისათვის. (მომხსენებელი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. ი. ხელაძე).
2. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1948 წლის ბიუჯეტის შესრულება და 1949 წლის ბიუჯეტის დამტკიცება (მომხსენებელი — ამხ. ვ. გურგენიძე).
3. საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის 1948 წლის ბიუჯეტის შესრულება და 1949 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. (მომხსენებელი — ამხ. კ. ცქიტიშვილი).

პლენუმის წევრების რეგისტრაცია იწარმოებს დილის 10 საათიდან.

კოლმეურნეობათა გამგეობებისა და ყველა მოქალაქის საყურადღებოდ

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები საქართველოს სს რესპუბლიკაში ატარებენ სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტების აღრიცხვას კოლმეურნეობებსა და მოქალაქეთა მეურნეობებში ქალაქებსა და სოფელ ადგილებში.

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევას ექვემდებარება:

1. კოლმეურნეობებში:

ა) შენობები, ინვენტარი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, პროდუქცია, ნედლეული და მასალები; ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები, სანერგეები, ბაღები, საკენკრეებისა და ვენახების მოსავალი; გ) სასოფლო-სამეურნეო ცხოველები; დ) თევზსაჭერი გემები.

2. მოქალაქეთა მეურნეობებში:

ა) შენობები ბ) სასოფლო-სამეურნეო ცხოველები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მინდვრის ნათესები.

კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარენო და მოქალაქენო!

დახმარება გაუწიეთ სახდაზღვევის მუშაკებს ობიექტების სრულად აღრიცხვის საქმეში, გახსოვდეთ, რომ დასაზღვევი ობიექტების სწორ და სრულ აღრიცხვაზე დამოკიდებულია სადაზღვევო საზღაურის სწორად და თავის დროზე გაცემა.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში

მოქალაქე პეტრე ვასილის-ძე საველიევმა, მცხოვრებმა დეპოს ქ. № 8, აღძრა საქმე ლენინგორის რაიონის სოფელ ლენინგორში მცხოვრებ მოქალაქე ტატიანა ნიკოლოზის ასულ სირუნიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები სერაპიონ, ალისა მაისურაძეები იუწყებიან დავით სერაპიონის-ძე მაისურაძის გარდაცვალებას.

ძმები იაშა, გაბო, კაკო მაისურაძეები, რძალი ქეთო იუწყებიან დავით სერაპიონის-ძე მაისურაძის გარდაცვალებას.

მეუღლე ანასტასია, რძალი თამარ, შვილიშვილი ირმა იუწყებიან სერგო დავითის-ძე მამალაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-VIII, 8 ს. დაკრძალვა 4-VIII, 6 ს. ჩაისუბნის, 7.

დედა დარიკო, მეუღლე პარასკევა, შვილები საშა, ვალია, ქეთო, ეთერ და აგრაფინა, ძმები კარპეჯ, ანტონ ფარცვანიები ოჯახებით, სიძეები დათიკო, პავლე, შვილიშვილები იზაბელა, ნაზიბროლა იუწყებიან ლევან ფარცვანიას გარდაცვალებას. დაკრძალვა ცხაკაიაში 4-VIII.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ნატა საყვარელიძის ბიძის კლინიკე ალექსანდრეს-ძე საყვარელიძის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, უცხოეთისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორისა — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ № 14. ტირაჟი 150.000 უე 01871